მწყემსი

F 25
1891



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დასდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 15 და 16 1883-1891 20 აგვისტო.

შინაარსი: ნუ უშლით მართლ-მადიდებელ ხალხს კვირა-დღესასწაული დღეების წმიდათ დაცვას და პატივისცემას.— მწირე ფიქრები სოფლის მღვდლისა.—წერილი რედაქტორთან.—ბიბლიოგრაფიული შენიშვნა.—წერილი ათონიდგან.—მოხუცი მამა (ლექსი).—ახალი ამბები და შენიშვნები.—გუჯრები.—საეჭვო კითხვების განმარტება.—განცხადებანი.

## ნუ უშლით მართლ-მადიდებელ ხალხს კვირა-დღესასწაული დღეების წმიდათ დაცვას და პატივისცემას.

F 71

დიდი შესანიშნავი შემთხვევები ქრისტეს ეკკლესიის ცხოვრებაში უმეტეს ნაწილად არიან საფუძველნი სხვა-და-სხვა დღესასწაულთა დაწესებისა, რომელთაც წმიდად და შეურყევლად ინახვენ სხვა-და-სხვა ქრისტიანე ერნი. როგორც ამ შემთხვევათა დავიწყება არ შეიძლება, ისე ამ ერთათვის არ შეიძლება გადაგდება ამ შემთხვევათაგან გამოწვეულ დღესასწაულთა. უარყოფა ეკკლესიის დღესასწაულთა, მათი გადაგდება, ანუ მათი დიდი მნიშვნელობის დამცირება ხალხის თვალში—უსათუოდ შეარყევენ ხალხის პატივის-ცემას ეკკლესიის ამ დიდ შემთხვევათადმი, რომელთა სახსოვრად დაარსებულან ეს დღესასწაულნი. ვინც საჭიროდ არ რაცხს, მაგალითებრ, კვირა დღის წმიდად შენახვას—ის ნუ იტყვის, რომ იგი ღრმად იყოს გამსჭვალული ქრისტეს აღდგომის და დაცემული კაცობრიობის მისგან გამოხსნის მნიშვნელობით. მართლაც, თუ კვირა-უქმე დღესაც აღარ გვაქვს დრო ღვთის სამსახურისათვის, მაშ როდისღა ვიშოვოთ თავისუფალი დრო ვიფიქ-

როთ ღმერთზე, ვიკითხოთ საღმრთო წერილი და აღვასრულოთ ღვთის სასიამოვნო საქმენი? საქმის დღეებში ხომ სულ აღარ გვეცლება ამისთანა საქმეებისათვის! მაგრამ ამაზე ბევრის ლაპარაკი საჭიროდ აღარ მიგვაჩნია, რადგან ჩვენც ბევრი გვითქვამს და გვიწერია ამ საგანზე და საზოგადოდ ბეჭდვითი სიტყვაშიაც ეს საგანი ყოველი მხრით განხილულია და დამტკიცებული.

ჩვენ აქ გვინდა ორიოდე სიტყვა ვსთქვათ ზოგიერთი პირების შემცდარი აზრის წინააღმდეგ, რომელნიც ამტკიცებენ, რომ ვითომ არ შეიძლება ხალხს მოვსთხოვოთ დღესასწაული დღეების მტკიცედ დაცვა, რადგან ეს დღესასწაულები მათ ბევრ თავისუფალ დროს ართმევენ. ცხოვრება თან-და-თან უფრო ძნელდება, ამბობენ ისინი, მოთხოვნილება ორკეცდება, ამიტომაც შრომისათვის საჭიროა უფრო მომეტებული დრო; სადღა რჩება დრო, რომ კაცმა შეისვენოს. მოსვენება აღარც კი ახსოვს საწყალს ხალხს. მაგალითისათვის ავიღოთ ვაჭრები. ზანა ადვილი საქმეა მოვსთხოვოთ ვაჭარს, რომ მან დღესასწაულ დღეებში დაჰკეტოს დუქანი და ხელმოჭდობილი დაჯდეს თავის საქონლის წინ? იგი იხდის ფულს პატენტისათვის, დუქნის ქირას და საქონელს იღებს ნისიად და ყოველ დღეს ცდილობს იგი, რომ ყველა ესეები გადიხადოს: დღესასწაული დღეები მას არ ერიცხება არც პატენტის და არც დუქნის ქირისაგან. ხალხს რომ მოვსთხოვოთ დღესასწაულების მტკიცედ დაცვა, ეს დასცემს მეურნეობას, ხალხს სიზარმაცეს მიაჩვევს და ჩვენი ხალხი, რომელიც უიმისოდაც ზარმაცია, სულ გაზარმაცდება. კიდევ ბევრ რამეს ბრძანებენ ჩვენი დღესასწაულების წინააღმდეგნი პირნი, რომელნიც ერთის შეხედვით ვითომ იღვწიან ხალხის დღეკეთილობისათვის და საზოგადოდ ადგიან სიმართლეს. მათი მოსაზრება, ერთი შეხედვით, კაცს მართალი და საფუძვლიანი ეგონება. მაგრამ ვნახოთ, თუ რამოდენად იღვწიან ისინი ხალხის დღეკეთილობისათვის და რამოდენად ადგიან სიმართლეს.

ნამდვილია, რომ ეხლანდელი ცხოვრება ითხოვს ძლიერ შრომას, წინააღმდეგ შემთხვევაში კაცს მოელის სიღარიბე და სიღატაკე. ჩვენც თანახმანი ვართ, რომ ჩვენი ხალხი ზარმაცია და ამიტომ საჭირო არ არის უფრო ბევრი თავისუფალი დრო მივსცეთ მას. მაგრამ დღესასწაულების წინააღმდეგნი პირნი ცდებიან, როცა ჰფიქრობენ, რომ ჩვენი ხალხი გამდიდრდება და მათში წინ წაიწევს მეურნეობა დღესასწაული დღეების დარღვევით. უკეთესი იქნება ურჩიოთ ჩვენს ხალხს, რომ მან იშრომოს ყოველ საქმე დღეს. თუ შრომისათვის დანიშნულ დღეებში ჩვენი ხალხი მუყაითად მოეკიდება საქმეს, მაშინ, დარწმუნდით, საჭირო არ იქნება დღესასწაულ დღეებში შრომა და არც უნდა იმის შიში გვქონდეს, რომ კვირა-უქმე დღეებში უმუშევრობამ ჩვენი ხალხი გაალარიბოს და სიგლახაკეში ჩააგდოს. ვინც ერთგულად შრომობს კვირიდამ მეორე კვირამდის, ანუ ერთი დღესასწაულიდამ მეორე დღესასწაულამდის, მისთვის საჭირო არ არის დღესასწაულ დღეებში მუშაობა და შრომა. წინააღმდეგ ამისთანა მშრომელი კაცისათვის კვირა და საზოგადოდ დღესასწაული დღეები შეადგენენ განსაკუთრებულ დროს, როცა მშრომელი კაცი მოსვენებას ეძლევა, რომ შემდეგ უფრო გულით და ხალისით მოჰკიდოს ხელი საქმეს. ისეთ შრომას, რომლის შემდეგ კაცმა მოსვენება არ იცის, სარგებლობის მაგიერ ვნება მოაქვს და კაცი მუდამ სისუსტესა გრძნობს. ვინც არ უშლის ხალხს კვირა-უქმე დღეებში მუშაობას, ის ამით ამტკიცებს, რომ ხალხმა როგორც რიგია ისე ვერ იმუშავა საქმის დღეებში და დაკარგული დრო უნდა შეავსოს უქმე დღეებით. წმ. ეკკლესიამ, როგორც ზემოთაც მოვიხსენეთ, დაადგინა დღესასწაულები ზოგიერთ დიდ შემთხვევათა და პირთა მოსახსენებლად, და ესეც რომ არ ყოფილიყო, ხალხი თვითონ დაადგენდა დღესასწაულებს, ე. ი. დღეებს მოსასვენებლად იმ მოსაზრებით, რომ მუდამ შრომა შეუძლებელია და კაცისათვის დრო და დრო საჭიროა მოსვენება და მის სულიერ მოთხოვნილებათ დაკმაყოფილება. და რა შეადგენს ქრისტიანე კაცის სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას? ფიქრი ღმერთზე, კითხვა საღმრთო წერილისა, ღვთის მსახურების მოსმენა, საუბრები სარწმუნოებრივ საგნებზე და, შეძლებისამებრ, ღვთის სასიამოვნო საქმეების კეთება. ცხოვრების ასეთ წესს მოითხოვს კაცის ორგვარი ბუნება—ხორციელი და სულიერი. იმ კაცს, რომელიც მუდამ იმას ჰფიქრობს, რომ, რაც შეიძლება, ბევრი იშრომოს და მოიხვეჭოს ქვეყნიური სიმდიდრე, თან-და-თან ხასიათი უფუჭდება და ქსუვდება, ამისთანა კაცი ივიწყებს ჭეშმარიტებას და ყოველივე კეთილს და ბოლოს უენო ცხოველს ემსგავსება, ხოლო როცა კაცი შრომის დროს არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივიწყებს თავის სულს და ამ სულის მოთხოვნილების დაკმაყოფილებასაც, მაშინ იგი უფრო კეთილშობილდება და ნამდვილად ასრულებს თავის მოვალეობას. წმ. ეკკლესია ცდილობს, რომ კაცმა ერთგვარად ასაზრდოვოს სულიც და სხეულიც და ამ მიზნისათვის არიან დადგენილნი დღესასწაულები. ამიტომაც დღესასწაული დღეები ხელს კი არ უშლის კაცთა კეთილ-დღეობას, პირიქით ხელს უწყობს. მაგრამ ეს მოსალოდნელია მაშინ, როცა კაცი საქმის დღეებში საკმაოდ შრომობს, ხოლო კვირა-უქმე დღეებში ისვენებს და ზრუნავს სულისათვის. ჩვენი აზრის დასამტკიცებლად საკმაოა ხელი მიუთითოთ მკითხველს ინგლისზე და ამერიკაზე. ამ ქვეყნებში მეურნეობა და ხალხის სიმდიდრე სასურველს წერტილზე არის მიღწეული, თუმცა დღესასწაული დღეები ისე წმიდად არსად არ არიან დაცულნი, როგორც ამ ქვეყნებში. ინგლისის ყველა ქალაქებში, გარდა ლონდონისა, კვირა დღეს დაკეტილნი არიან თეატრები, ყოველნაირი დუქნები და მაღაზიები; ხოლმადები და ორთქლითმავალი ან სულ არ დაიარებიან და თუ მოგზაურობენ, არა ისე ხშირად, როგორც საქმე დღეებში. თუ ჩვენში კვირა-დღესასწაულების წმიდად შენახვა გაალარიბებს და გააზარმაცებს ჩვენს ხალხს, რატომ ამ ქვეყანაში არ ღარიბდება და არ ზარმაცდება ხალხი, როცა იქ ასე წმიდად ინახვენ კვირა-უქმ დღეებს?

განა ასე ეკიდებოდენ ჩვენი წინაპარნი ამ დღესასწაულებს და განა ასე სამძიმოდ მიაჩნდათ მათ ეს დღეები? ამ რამდენიმე წლის წინად ჩვენი ხალხი დიდის მოწიწებით ეპყრობოდა დღესასწაულებს და ძალიან წმიდათაც ინახავდა მათ. კვირა-დღესასწაულების დამარღვეველნი სასტიკად ისჯებოდენ თვითონ ხალხისაგან. დღესასწაულ დღეებში ფიქრადაც არავის მოუვიდოდა რაიმე საქმის გაკეთება, გარდა სარწმუნოებრივ-ზნეობრივი საქმეებისა. ამ დროს ჩვენი ხალხი ისე წმიდად ინახავდა კვირა-უქმ დღეებს, როგორც დღეს ინახვენ ამ დღეებს ინგლისელები და ამერიკელები, მაგრამ მაშინ არავინ არ ჩიოდა, რომ დღესასწაული დღეები აღარიბებენ და აზარმაცებენ ხალხსაო. ხალხი მაშინ უფრო შრომის მოყვარე იყო და მარტო საქმის დღეებში მუშაობით ირჩენდა თავს და საჭიროდ არ რაცხდა დღესასწაული დღეების უარყოფას. მაგრამ როცა დრო შეიცვალა და ახალი წესები შემოიღეს, ხალხის ზოგიერთი ჩვეულებანიც შეიცვალა. დღეს ხალხი ხედავს, რომ ის პირნი, რომელთაც ხელთ უპყრიათ მათი გამგეობა, სულ სხვა შეხედულებისა და რწმუნებისა არიან და ითხოვენ, რომ მათი ბრძანება შეასრულოს ხალხმა. სხვათა შორის, ამ პირთ დღესასწაულ დღეებში მუშაობა საწინააღმდეგოდ არ მიაჩნდათ, თუმცა ხალხს კი არ მოსწონდა ესეთი განკარგულება. ხშირი შემთხვევა იყო, რომ ადმინისტრაციის ზოგიერთი ხელქვეითნი ხალხს სამუშაოდ იწვევდენ კვირა-უქმ დღეებში. პირველად ამ გარემოებამ ძალიან შეაწუხა ხალხი, რომელიც ძველიდგანვე წმიდად ინახავდა კვირა-უქმ დღეებს და კრძალვით ეკიდებოდა მათ. ზოგან ხალხმა წინააღმდეგობაც გაუწია ადგილობით მთავრობას დღესასწაულ დღეებში მუშაობაზე, მაგრამ, როცა ხალხის კანონიერი თხოვნა კვირა-უქმ დღეების წმიდად დაცვის შესახებ არ იქმნა შეწყნარებული, მაშინ ხალხიც ძალაუნებურად მიეჩვია დღესასწაულ დღეებში მუშაობას. დღეს ხალხს იქამდის გაუგრილდა გული დღესასწაულ დღეების მნიშვნელობაზე, რომ ზოგან თვითონ მთავრობა უკრძალავს მათ ამ დღეებში მუშაობას. თვითონ ადმინისტრაცია ცდილობს ეხლა გამონახოს რაიმე საშუალება, რომ ქალაქებში და სოფლებში დღესასწაულებში ხალხმა არ იმუშაოს. სხვათა შორის, მთავრობამ აკრძალა დღესასწაულ დღეებში სოფლის საზოგადოებათა შეკრება ღვთის-მსახურების გათავებამდის ტაძრებში. ქალაქებშიაც აკრძალულია დუქნების გაღება და ვაჭრობა ნაშუადღემდის, ე. ი. ტაძრებში წირვის გათავებამდის. მაგრამ, ჩვენის აზრით, ამ საშუალებით ძნელიღაა მოვსპოთ ხალხში დღესასწაულ დღეებში მუშაობა და აღვადგინოთ მის სულში და გონებაში ის გრძნობა, რა გრძნობითაც იგი ეკიდებოდა კვირა-დღესასწაულ დღეებს და წმიდად ინახავდა მათ. გლეხმა თუ გაიგო, რომ სოფლის სასამართლოში დანიშნულია კრება კვირას, იგი დილითვე გასწევს კანცელარიაში და ფიქრადაც არ მოსდის ჯერ ტაძარში წასვლა სალოცავად და მერე კრებაზე გაგზავრება და კიდეც რომ წავიდეს ტაძარში, ის უფრო ჰფიქრობს კრებისაგან განსახილველ საგნებზე, ვიდრე ღმერთზე და ღვთის სასიამოვნო საქმეებზე. ქალაქებშიაც ასეთივე შედეგი აქვს შუადღემდის დუქნების დაკეტვას. ძალიან ძნელი მოსახერხებელია, რომ ყველამ დაჰკეტოს დუქნები. შესახედავად, მართალია, ჰკეტენ, მაგრამ უმეტესად

ეროვნული ბიბლიოთეკა

დუქნის კარები ნახევრობით გაღებული აქვსთ და ჩუმად ვაჭრობენ. ასეთი ნამალევი ვაჭრობა ხშირად ახდენს შეტაკებას ვაჭართა და პოლიციის მოხელეთ შორის. ზოგიერთნი, მართალია, ჰკეტენ დუქნებს, მაგრამ ტაძარში კი არ მიდიან, არამედ დაღვრემილნი სხედან თავიანთი დუქნების წინ და მოუთმენლად ელიან წირვის გათავებას, რომ შემდეგ დუქნები გააღონ და ვაჭრობა იწყონ. განა ასე უნდა ვატარებდეთ კვირა-უქმე დღეებს? თუ ვდღესასწაულობთ, მთელი დღე ვიდღესასწაულოთ, ვიფიქროთ ღმერთზე და მოვიქმედოთ ღვთის სასიამოვნო საქმეები. თორემ რაღაცა ვაჭრობა გამოდის, თითქო ვამადლით ეკკლესიას, რომ ცოტა ხანს მაინც უკრძალავთ ხალხს კვირა დღეებში მუშაობას. დროა დაუფიქრდეთ ჩვენს მოქმედებას!

ღვთის მადლით, დღეს თვითონ ხალხმა შეიგნო, რომ ასე გულგრილად ვეკიდებით დღესასწაულ დღეებს და თვითონვე ცდილობს ჯეროვანის პატივისცემით დაიცვას ეს დღეები.

რამდენი ეცადა ქ. თბილისის საზოგადოება, რომ კვირა-დღესასწაულ დღეებში დუქნები დაეკეტათ და ვაჭრობა შეეჩერებიათ. ეს იყო ხალხის სურვილი და ამ სურვილის წინააღმდეგ ვერა გაარიგა რა ზოგიერთი პირების მჭევრ-მეტყველურმა სიტყვებმა. სწორედ ქება-მადლობის ღირსია თბილისი! თბილისელებს ამ საქმეში ქუთაისმაც წაბაძა. მთელმა ქუთაისის საზოგადოებამ, ვაჭრებმა — ერთი სიტყვით ქალაქის მთელმა მკვიდრმა შეიტანა თხოვნა, ვისთანაც ჯერ იყო, რომ კვირა-დღესასწაულ დღეებში აეკრძალათ ვაჭრობა მთელი დღე განურჩევლად ხალხოსნობისა და სარწმუნოებისა. ხალხის ასეთი თხოვნა კიდეც სასურველად დაგვირგვინდებოდა, რომ ამ საქმისათვის ხელი არ შეეშალა სხვა სარწმუნოების აღმსარებელთ, რომელნიც იქამდის გათავამებულნი არიან ჩვენი ქალაქის ზოგიერთ უთაურ მართლ-მადიდებელ მკვიდრთაგან, რომ ეს სხვა სარწმუნოების აღმსარებელნი მონაწილეობას იღებენ მართლ-მადიდებელი სარწმუნოების კითხვების განხილვის დროს და ხშირად თავის სურვილისა მებრ ათავებენ კიდეც ამ კითხვებს. განა სამწუხარო არ არის, როდესაც რომელიმე ებრაელზე ანუ პროტესტანტზე არის დამოკიდებული ჩვენი მართლ-მადიდებელი დღესასწაულების წმიდად დაცვის კითხვის ასე თუ ისე გადაწყვეტა ქ. ქუთაისში?

რას დაეძებენ ჩვენს მართლ-მადიდებელ დღესასწაულებს ურიები და სხვა სარწმუნოების აღმსარებელნი, მათთვის სასარგებლოც იქნება ამ დღესასწაულების სრულიად მოსპობა! სწორედ სასირცხო და სათაკილოა ჩვენი ასეთი მოქმედება! მაგრამ რას იზამ კაცი, რომ თვითონ ჩვენ იმდენად გამსჭვალულნი ვართ სარწმუნოებრივი გულგრილობით, სიმდიდრის მოხვეჭით, რომ ყოველ შემთხვევაში მზად ვართ კაპიკისათვის დავიცვათ ებრაულთა ინტერესები, ვინემ ჩვენი საკუთარი!

როცა ჩვენ დღესასწაულ დღეების წმიდად დაცვაზე ვლაპარაკობთ, სახეში გვაქვს ის დღესასწაულები, რომელნიც დადგენილნი არიან წმ. ეკკლესიისაგან და არა ზოგიერთი დღესასწაულები, რომელნიც წარმომდგარან ხალხის სხვა-და-სხვა ცრუმორწმუნეობისაგან და რომელნიც მართლა ნივთიერად და ზნეობითად დიდს ზარალს აძლევენ ჩვენს ხალხს. ეს უბრალო დღესასწაული დღეები ნამდვილ დღესასწაულ დღეებთან ერთად მართლა დიდ დროს უკარგვენ ხალხს და ამან, შეიძლება, მართლაც, ცუდად იმოქმედოს ხალხის კეთილდღეობაზე, მაგრამ ჩვენ სრული წინააღმდეგნი ვართ ამ უბრალო დღესასწაულებისა. რაც შეეხება წმ. ეკკლესიისაგან დადგენილ დღესასწაულებს, მათ შესახებ იმას ვიტყვით, რომ, თუ ყველა მათი წმიდად დაცვა საძნელოა, მაშინ საჭიროა აღიძრას კითხვა, რომ ამ დღესასწაულების რიცხვი შემცირდეს და დავსტოვოთ უფრო დიდი დღესასწაულები და მარტო ესენი შევინახოთ წმიდათ, ვინემ ყველა დღესასწაულები დავსტოვოთ და ისე-უგულოთ ვიდღესასწაულოთ ისინი, როგორც ამას დღეს ჩავდივართ.

მაგრამ ხალხი ელის და იმედიცა აქვს, რომ უმაღლესი მთავრობა ჯეროვანს ყურადღებას მიაქცევს ამ საჭირო საქმეს და ბოლოს მოუღებს ამ არა სანატრელ მდგომარეობას და ეცდება ხალხში აღადგინოს ის გრძნობა და პატივისცემა დღესასწაულებისადმი, როგორი გრძნობით და პატივის-ცემითაც ეკიდებოდა ხალხი უწინდელს დროში კვირა-უქმე დღეებს. ასეთი მოქმედებით ჩვენი ხალხი თავს დააღწევს ეხლანდელი დროის დამღუპველს სარწმუნოებრივ გულგრილობას და მტკიცედ დაადგება ქრისტეს ჭეშმარიტ სარწმუნოებას.

# მწარე ფიქრები სოფლის მღვდლისა.

ერთ გაზეთში ვკითხულობთ: «ჩვენ მივიღეთ პატივცემული მღ. №№-საგან ოცი მანეთი, შეკრებილი მისი მოთაოსნობით დ. ბაქრაძის და იოსებ დავითაშვილის საფლავზე ძეგლის დასადგმელად. ჩვენ გვთხოვენ, რომ შემწირველების სია გამოვაცხადოთ და კიდეც ვბეჭდავთ აქვე და სხვ.»

ჭეშმარიტად საქები და სანატრელი მოვლენაა ერთის მხრით ეს ფაქტი და საზიზღარი ფარისევლობა და მეტიჩრობა მეორეს მხრით. ნეტავი იმ ხალხს, სადაც შეუგნიათ პატივისცემა საზოგადო მოღვაწე პირთა და ამ პატივისცემას არ ივიწყებენ მათი სიკვდილის შემდეგაც, გულით და სულით ცდილობენ, რომ მათი სახელი დაუვიწყარი დარჩეს შემდეგ თაობას და ამისათვის არ იშურებენ თავისი ღარიბი ჯიბისაგან თითო-ორ-ორ მანეთს მათს საფლავზედ ძეგლის დასადგმელად. დიახ, სწორედ სასიამოვნო მოვლენაა ამ ჩვენს დაძაბუნებულს და დაქვეითებულს დროში ამისთანა ერთგულობა, ერთ სულობა და ერის პატივისცემა საზოგადო მოღვაწე პირთადმი. მაგრამ მეორეს მხრით რომ შევხედავთ საქმეს, სულ სხვა სამწუხარო სურათს წარმოგვიდგენს იგი, სულ სხვა უნუგეშობას გვიხატავს. გულს გილონებს ფარისევლობა, მეტიჩრობა, თავის ქება და უგნური წამხედურობა. ძლიერ დაამჟავა ეხლანდელი დროის ხალხის ცხოვრება ფარისევლურმა სიმჟავემ, სახით ჩვენება და საქმით უკუდგომა, სიტყვით თქმა ერთის და საქმით სულ სხვის მოქმედება, თავის ქება, უსუსური წამბაძველობა და მეტიჩრობა, აი რით შეუძლია იქოს თავი ეხლანდელმა დრომ. ყველაზე მეტად მწარე საფიქრებელია ჩვენთვის ეხლანდელი დროის გასაოცარი და საარაკო აზრების არევ-დარევა ზოგიერთა პირთა, საქმის მსჯელობა და შეხედულება!... ცხრამეტმა საუკუნემ განვლო, მაგრამ ქრისტეს დროის ფარისევლების მიმდევარნი კიდევ მრავალნი არიან, მრავალნი თანაუგრძნობენ მათ აზრს, მათ მსჯელობას, მათ საქციელს.

რამდენი ყოფილან ჩვენში იმისთანა რჩეულნი მწერალნი და მოღვაწენი, რომელთა ხამლთა გახდის ღირსად არ უცვნია თავი დავითაშვილს და რამდენი არიან საქართველოსთვის თავდადებულნი პირნი, რომელთა საფლავი სრულებით მივიწყებულია დღეს. ჭეშმარიტად მართებულია, რომ ძეგლი დაუდგათ ნეტარ ხსენებულს დ. ზ. ბაქრაძეს, რადგან მან აგვიხსნა და განგვიმარტა ზოგიერთი წარწერილობანი ეკკლესიის კედლებისა და ხატებისა, მაგრამ ნუ თუ მეტად პატივსაცემნი არ არიან ის პირნი, რომელთაც ააშენეს ეს ტაძრები და ვინც დააწერა ქვებზე და ხატებზედ ეს წარწერილობანი?... პატივისცემის ღირსია ჭეშმარიტად განსვენებული დ. ზ. ბაქრაძე, რომ გაგვაცნო მეფე დავით აღმაშენებელი, რომელმანც თათრებისაგან დამგვრეული, დაქცეული და აოხრებული საქართველო აღაშენა და თათრების ბრჭყალებისაგან დაიხსნა ჩვენი ქვეყანა საუკუნოდ.

რა იქნებოდა დღეს საქართველო, რომ დავით აღმაშენებელს არ გამოეხსნა იგი თათრების მონობისაგან? იქნებოდა ხსენება თვითონ დ. ბაქრაძის და დავითაშვილის, რომ დავით აღმაშენებელს არ დაეფარა ჩვენი სარწმუნოება, ჩვენი ხალხოსნობა და ჩვენი ქვეყანა საშიშარი მტრის თათრებისაგან?... ჩვენ ვცდილობთ, რომ დ. ზ. ბაქრაძის და დავითაშვილის საფლავზედ რიგიანი ძეგლი დავსდგათ და ამავე დროს სრულებით არ ვფიქრობთ, რომ მცირე ძეგლი დაუდგათ თათრებისაგან ჩვენს მხსნელს, ჩვენს აღმაშენებელს და დამამკვიდრებელს დავითს!...

დიახ, სწორედ სამწუხარო მოვლენაა. უცხო პირები, მნახველნი დავით აღმაშენებელის სასაფლაოისა, გაკვირვებით იტყვიან ხოლმე: «ჰაი, ჰაი, ბრალი არ არის, რომ ის ხალხი, რომელიც შენ გამოიხსენი თათრების მონობისაგან, აღაშენე, დაუცევი სარწმუნოება და ენა, ამის მეტს პატივს არ გცემდეს! ნუ თუ აღარავის ახსოვხარ შენ და არ იციან შენნი მოქმედებანი, რომ შენი საფლავი შეამკონ რიგიანი ძეგლით?» დიახ, ჭეშმარიტად საგულისხმო სიტყვებს ამბობენ ყველა ეს უცხო პირნი... იქნება სთქვას ვინმემ, რომ ამაზედ კითხვა არ აღუძრავთო. კითხვაც აღძრეს, კიდეც გამოაცხადეს, მაგრამ ძლიერ მცირემ მიაქცია ყურადღება! უფრო ნამეტანი ფული შეგროვდა დავითაშვილის ძეგლის ასაგებად! სხვას თავი დავანებოთ, ჩვენმა მოძმეებმაც უფრო მეტი მხურვალე მონაწილეობა მიიღეს დავითაშვილის სასაფლაოზედ ძეგლის ასაგებ ფულის შეკრებაში, ვინემ დავით აღმაშენებელის სასაფლაოზედ ძეგლის დასადგმელ ფულების შეწირვაში. უნებლიეთ გვაგონდება ერთი ახირებული სნეულება, რომელსაც უწოდებენ წმიდა ვიტის თამაშობას. ახირებული სენი არის ეს ავათმყოფობა. ეს ახირებული სენი ვისაც

დაემართება, ის იწყებს ერთ ნაირ ხტომას, გეგონება, ძლიერ მონდომით თამაშობსო. რამდენიც გინდათ, დაუშალეთ, ის მაინც თავისთვის ხტის და ხტის. ძლიერ საშიშარია ეს სნეულება ტანმრთელებისათვისაც. ტანმრთელმა კაცმა თუ თვალი მოავლო ამისთანა სნეულის ხტომას, მასაც გარდაედება ეს სნეულება და ისიც მოჰყვება ერთ უცნაურ ხტომას. ეხლა ამას შეხედავს სხვა ვინმე და ისიც დაიწყებს ხტომას და თამაშს. ბოლოს ხედავთ, რომ ამ სნეულთან ერთად ხტიან სხვა ტანმრთელებიც. თქვენს პასუხზედ ერთი ვერ მოგიგებს, თუ რა დაემართათ მათ და რატომ ხტიან...

ჭეშმარიტად ეხლანდელ დროში ერთობ გავრცელებულია წამხედურობა და ყველაზედ მეტად ის არის სამწუხარო, რომ წამხედურობას სიგლახეში უფრო იჩენენ ზოგიერთები, თორემ სიკარგეში რომ გამოიჩინონ, ეს ხომ სასიხარულო იქნება...

***

აგერ წინაზედ ვჯდივართ ძმათა ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. შემოდის ერთი სოფლის გლეხი კაცი და ჰკითხავს წიგნის მაღაზიის პატრონს:

— ჭილაძეების წიგნის მაღაზია ეს არის?

— დიახ, მიუგებს პატრონი.

— ერთი კაცი გარდაგვეცვალა სოფელში და მინდა გაზეთში გამოცხადდეს მისი გარდაცვალება.

— განცხადების დაბეჭდვა ორგზის ეღირება მანეთ-ნახევარი, მითხარით მისი სახელი და გვარი, და ისიც, როდის დაასაფლავებენ, ეკითხება მაღაზიის პატრონი.

— სახელი და გვარი (ასახელებს) ეს გახლავსთ, გარდაცვალებულს დღეს ასაფლავებენ, მიუგო გლეხმა.

— მაშ განცხადება რათ გინდათ, თუ კი დღეს ასაფლავებენ, განცხადება ორი სამი დღის შემდეგ დაიბეჭდება და ამ განცხადებით ვილა მოვა, მიუგო გლეხს, მაღაზიის პატრონმა.

— ხალხის დასაბარებლად კი არ გვინდა, გაზეთში ჩაბეჭვდა გარდაცვალებულისა კარგია, გაზეთში გამოცხადდება მისი გარდაცვალება და დიდხანს დარჩება მისი ხსენებაო, ოღონდ დაიბეჭდოს და როდესაც იყოს, სულ ერთია...

სხვა ათასნაირ უბრალო და გამოუდეგარ ხარჯს ამ გლეხმა სულელური წამხედურობით ორი მანეთი ხარჯი კიდევ მიუმატა! თავის მღვდელს [illegible] მთელი ერთი დღე ფეხზედ დგომისთვის იმ ოთახში, სადაც განსვენებული ასვენია და სადაც ხშირად ცუდი ჰაერისა გამო სუნთქვაც არ შეიძლება, პანაშვიდების გადახდისთვის სამი და ხუთი დღის განმავლობაში და რამდენიმე წირვისთვის რომ მთელ კრებულს 5—6 მანეთი მისცეს, დღიური ანგარიშით ორ კაცს ერთი მანეთი, ერთ ყვირილს მორთობენ: დევილუპეთ, მღვდლების გარდასახადს ველარ გაუძელითო!...

***

დასავლეთ საქართველოში დღემდის არსებობს ერთი ცუდი ჩვეულება — თვალთმაქცობით გარდაცვალებულების ტირილი. ტირილი ისეთი თვისებაა კაცისა, რომ ქვეყანაზედ არ მოიშლება იგი სანამ კაცობრიობა არსებობს. ტირილი, მწუხარება და გლოვა ყოფილა, არის და იქნება. ჩვენ ვამბობთ იმისთანა ტირილზედ, რომელიც უზაროდ არ მოხურხდება და რომელსაც კაცი თვალთმაქცობით ასრულებს კაცის მიყოლით. ზოგს არ ეტირება, მაგრამ ზოგიერთი კაცი ხათრისათვის მაინც იჯღანება, ქვითინებს და ქვითინის დროს მთელს ტანს არხევს, მაგრამ სხვის შესახედავად. ისრესს თვალებს და ისვამს ცხვირსახოცს, მაგრამ სად არის ცრემლი?! ხან-დის-ხან ცხვირსახოცს ქვეშ ნერწყვს გააპარებს და ამოისვამს თვალებში, მაგრამ ცრემლიან თვალებს მაინც არ ჰგავს!... ამისთანა უმგვანო და ცუდი ჩვეულება დღემდის მარტო დაბალ ხალხში არსებობდა და არსებობს, მაგრამ ეხლა თან-და-თან გაზეთებშიაც შემოიღეს ჩვენმა მწერლებმა ეს ჩვეულება. წაიკითხეთ მიცვალებულთა საფლავებზე წარმოთქმული სიტყვები ჩვენი მწერლებისაგან. «სიცოცხლე მოგვეწამლა, მზე დაგვიბნელდა, მოგვაკლდა ერთგული მამულის შვილი, მამულისათვის თავის ქონების არ დამზოგველი (ერთი გროში კი არ დაუტოვებია მამულის სასარგებლოდ); დღეს ჩვენ ვსტირით, ჩვენს თვალებზე ღელესავით მოსდის ცრემლები, ველარ შეგვიკავებია ცრემლები... (აუარებელ ხალხში არავის ცვარისოდენა ცრემლი არ მოსდის თვალებზედ).

დღემდის ერთი ერთმანეთს ვატყუებდით, ერთი ერთმანეთთან თვალთვმაქცობდით, მაგრამ ამ ბოლო დროს დაიწყეს ღვთის მოტყუებაც! ამას წინეთ გაზეთს «კავკაზში» იყო გამოცხადებული დიდის ასოებით და პირველ გვერდზედ, რომ ამა და ამ დღეს ქ—ის ეკკლესიაში აღსრულებული იქნება ამა და ამ თავადის

ეროვნული

...ა მოსახსენებლად წირვა. ვსთხოვეთ ნაცნობთა, ...იმანდენ ხსენებულს დღეს ყ—ში. წაიკითხა თუ არა ეკკლესიის კრებულმა ეს განცხადება, იგი შეუდგა თადარიგს და ყველაფერი მოამზადა წირვის ასრულებისათვის. უყურებს პატივისმცემლთ და ნაცნობთა, მაგრამ სად არიან? თურმე გაზეთში გამოაცხადეს მარტო, თორემ ნამდვილად წირვის აღსრულება კი არ სურდათ! საჭირო იყო ხალხს შეეტყო მარტო გაზეთით, თორემ წირვის ასრულება საქმეში არც კი ქონებიათ. რით განირჩევა ეს საქციელი იმერული თვალთმაქცური ტირილისაგან?!...

* * *

დიახ, დრო შეიცვალა. ერთი კიდევ ახალი მოვლენა: დღემდის მარტო თეატრებში და ცირკებში ვხედავდით მასხარებს (КЛОУНЪ), დღეს გაზეთის რედაქციებშიაც დაინახეს ამისთანა მასხარების ყოლა საჭიროდ. როდესაც ხალხს მოეწყინება თეატრში ან ცირკში წარმოდგენის მოთავე კაცები, სანამ წარმოდგენისათვის მოეწყობოდენ, გამოუშვებენ ამ დროს მასხარებს. ესენიც გამოდიან და მასხარობენ და ათასნაირ სისულელეს ჩადიან, რომ მაყურებლები არ მოაწყინონ. სწორედ ამნაირივე მიზნით უნდა ჰყავდეს დაქირავებული «ივერიის» რედაქციას ვიღაცა მასხარა ბიჭი, რომელიც ხან ახნაზაროვის, ხან დუშიკოს და ხან სხვა სახელით გამოდის «ივერია»-ში და თავის მასხარობით ართობს გაზეთის მკითხველებს, რომელნიც სამასხაროს მეტს არას კითხულობენ. სწორედ კარგი საშუალება მოუგონია „ივერიას" თავისი მკითხველების გასართობად!!...

სოფლის მღვდელი.

## წერილი რედაქტორთან.

მ. რედაქტორო! ვინ არ იცის, რომ ბეჭვდითი სიტყვას, რომელიც მიმართულია ხალხის კეთილდღეობისადმი, დიდი მნიშვნელობა აქვს. ვინ არ იცის, რომ ჟურნალ-გაზეთებს, რომელნიც ყოველ საჭირო ცნობას აძლევენ ხალხს და ამასთან ყოველნაირ ბოროტ-მოქმედებას ამხილებენ და საქვეყნოთ ხდიან, იმ მიზნით, რომ საქმეს დაეხმარონ, დიდი მნიშვნელობა აქვსთ კაცობრიობისათვის და ამიტომ ყველანი კრძალვით და პატივისცემით უნდა ეკიდებოდენ ამისთანა ჟურნალ-გაზეთებს. უფრო საინტერესო საკითხავი გაზეთი, რომელსაც მასში კითხულობ სოფლიდამ და დაბებიდამ მიწერილ სხვა-და-სხვა ცნობებს, მაგრამ ხშირად გაზეთებში ვკითხულობთ ისეთ ცნობათა, რომელნიც უმეტესად ყურადღებას არ დაიმსახურებენ. რედაქტორებს ვინ გაამტყუნებს ამ შემთხვევაში! განა იმათ შეუძლიათ გაიგონ დაწვრილებით მინაწერ ცნობათა სინამდვილე! რა იცის რედაქტორმა, თუ მის კორრესპონდენტებში და რეპორტიორებში ზოგიერთნი ისეთი სულ-მდაბალნი არიან, რომ მათი ნაწერები არა თუ დაბეჭდვის, არამედ ხელის მოკიდების ღირსნიც არ არიან: რა იცის რედაქტორმა, თუ რა პიროვნული ანგარიშებით ხელმძღვანელობდა მისი შემთხვევითი კორრესპონდენტი? დღეს ამისთანა მუქთი კორრესპოდენტები და რეპორტიორები ხომ მრავალნი მოიძებნებიან ჩვენს სოფლებში და დაბებში. მათი ნატვრა მხოლოდ ის არის, რომ მათი ნაწერი გაზეთში დაიბეჭდოს და სიმართლის დარდი არ აწუხებსთ. მაგრამ ამისთვის ყოველ რიგიან ჟურნალ-გაზეთს წესად აქვს დადებული დაბეჭდოს პასუხი უმართლო და ცრუ კორრესპონდენციების წინააღმდეგ. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ზოგიერთი გაზეთის რედაქციები დიდ მფარველობას უწევენ თავის ცრუ რეპორტიორებს და მათ წინააღმდეგ პასუხის დაბეჭდვა არა სურთ.

ყველამ იცის, რომ ჩვენს კურთხეულს ყვირილაში ამ ბოლო დროს ძლიერ გამრავლდა ერთნაირი რეპორტიორები, რომელნიც ხშირად გზავნიდენ და დღესაც გზავნიან სხვა და სხვა ცნობებს გაზეთ «ივერია»-ში შესახებ სხვა-და-სხვა უწესოებათა, რომელნიც, ვითომც, ხდებოდენ და ხდებიან აქ ადგილობითი პოლიციის ბოქაულის დაუდევნელობით. ყველა ამ ცნობების შესახებ ჩვენ პასუხი გავგზავნეთ «ივერია»-ში, მაგრამ, ჩვენდა გასაკვირველად, ჩვენი პასუხი არ იქნა დაბეჭდილი. რატომ? სრულებით არ ვიცით! ალბად რედაქცია მომხრეა თავის ცრუ რეპორტიორებისა. სხვა ქართული გაზეთი არ არსებობს გარდა თქვენი გაზეთისა, და ამისათვის გთხოვთ, ნება მომცეთ, პასუხი უგო ყვირილის რეპორტიორებს, რაშიაც მამტყუნებენ იგინი.

გაზეთ „ივერიის" მე-71 №-ში ზესტაფონიდამ ერთი კორრესპონდენტი შემდეგს მოუთხრობდა მკითხველებს: «აქ ერთი დღე ისე არ გავა რომ კაცის კვლა

და ცარცვა-გლეჯა არ მოხდეს დ. ყვირილაშიო»-ო. დასამტკიცებლად თავის სიტყვებისა კორრესპონდენტი სწერდა: „ვიღაც, ჰგონებ, კიდეც მოჰკლესო, არაზიმის დუქანში კაცი გაცარცვეს და ყველაფერი წაართვეს. დაბა ძლიერ ბინძურად არის შენახული და ადგილობითი ადმინისტრაცია ყურადღებას არ აქცევს».

ვინ არის, ბატონო, ის მგონი, რომ მოკლეს, ან ვინ მოკლა და სად, რომ ვერც მკვდარი ვნახეთ და ვერც მკვლელი? ვინ გაცარცვეს ზესტაფონშიდ და მთლად ყველაფერი წაართვეს ისე, რომ ხმა არ გამოუღია და სასამართლოს კარებამდის ვერ მიუხწევია? რათ იწუხებთ თავს, ბ. კორრესპონდენტო, ამ გვარი სიცრუის წერით და ან რათ უხდით თქვენის ნაჯღაბნით გაზეთის სახელს და პატივს. შეიძლება რაიმე პიროვნობა გაწუხებსთ ვისთამე? უსუფთაობის შესახებ წერას როდესაც შესდგომიხართ, რატომ იმასაც არ მიაქციეთ ყურადღება, თუ რა ნაირი მდებარეობა აქვს ჩვენს დაბას. იგი ხიდიდგან დაწყებული გაჭიმულია მთელი ორი ვერსის სიგრძეზედ და გამოჭყლეტილი ორ გზასა და მდინარეს შუა, წინ რკინის გზა და შარა მიუდის და უკან მდინარე ყვირილა. მეტი გასანძრევი ადგილი არა აქვს. ესლა მიბრძანეთ, თუ წელიწადშიდ რამდენი ფუთი მარგანეცი იგზავნება დ. ზესტაფონიდგან და ეს ქვა რომელ გზაზედ გაივლის? რასაკვირველია, რომ მარტო ამ ერთმა გზამ, რომელიც ყველა დუქნების წინ ჩაივლის, უნდა იტვირთოს რამდენიმე მილიონი ფუთი ქვის ზიდვა და თქვენ გნებავსთ, ბ. კორრესპონდენტო, ამ შარის სუფთად დაცვა? გარდა ამისა, ბ. კორრესპონდენტო, რატომ ისიც არ მოიხსენეთ, რომ ეს ოცი წელიწადი მეტია, რაც დ. ზესტაფონში დღემდის ერთი ფარანიც არ დუმუღა და არც არავის მოსვლია მისი დადგმა ფიქრად. დღეს კი აქ ყველგან ფარნები არის და ღამის ყარაულებიც თავთავის ადგილზედ დგანან და წესიერებას იცავენ. თუ ავაზაკების შესახებ წერა გსურდათ და მასთან სიმართლის მიმდევარი ბრძანდებით, რატომ არ ინებეთ გადაჩხრეკა ქაღალდებისა მაზრის სასამართლოშიდ, ან გამომძიებელთან არ შეიტყვეთ ყოველ წლის მკვლელობის და ცარცვა-გლეჯის სტატისტიკური ცნობები? მაშინ დარწმუნდებოდით, რომ ამ ორი წლის განმავლობაშიდ უფრო ცოტა მოხდა მკვლელობა, თუ წარსულ წლებშიდ და ეს მკვლელობა ან ქურდობა ახსნილია თუ არა? აქ მოჰკლეს შარშან ბ. გაზბეკის ერთი მუშა, მისი მკვლელი წასრულია თუ არა? საქმე ახსნილია თუ არა? არაზიმას რესტორაციაში რომ ფულები დაიკარგა, ფულები ნახულია თუ არა? ქურდები დაჭერილია თუ არა? რასაკვირველია ესენი რომ დაგეწერათ, მართალი იქნებოდით, მაგრამ, საუბედუროდ, სიმართლით წერას და თქვენ ისე შორს შორს ბრძანდებით, როგორც თქვენგან დატარებული დ. ზესტაფონი და ჩინეთის სახელმწიფო. ყველაფერი ესენი მოხდა ამ ორის წლის განმავლობაშიდ და ამის შესახებ რადგან არაფერი ცნობები გქონიათ, მობრძანდით ან ჩემთან, ან გამომძიებელთან და შეიტყობთ, რომ ყველაფერი ახსნილი და ნაწარმოებია. მაშ რაღა გნებავსთ ჩვენგან? აი ასე უსაბუთოდ და უმართლოდ სწერენ ზოგიერთები, რადგან საქმის გარემოება არ იციან და არც უნდათ შეიტყონ. დ. ყვირილა დღეს ისეთ ადგილს წარმოადგენს, სადაც ერთი ბოქაული მუდამ ამ დაბას უნდა უვლიდეს, მაგრამ ნურც იმას დაივიწყებთ, მკითხველო, რომ ჩვენს საგანგებოს შეადგენს არა მარტო ერთი დაბა ყვირილა, არამედ ექვსი-შვიდი საზოგადოება. ვინც განიხილავს ჩვენი საქმის წარმოებას და მასთან ჩვენს კანცელარიაში მოსამსახურე პირთა რაოდენობას და მათ ჯამაგირს, მასთან იმ აუარებელ მოთხოვნილებას, რომელთაც ჩვენგან ითხოვენ, ყველას გაუკვირდება, თუ როგორ ასრულებს ყოველივე ამაებს ერთი ბოქაული. მართალია ბოქაულების რიცხვი მოუმატეს, მაგრამ ამ ბოქაულებს მარტო ბოროტი პირების დაჭერის საქმის მეტი კიდევ სხვა მრავალი მოვალეობა აქვსთ. ვის აქვს გამოკვლეული და შეტყობილი, თუ რამდენი დაბრკოლება უდგია წინ პოლიციის ბოქაულს ზოგიერთი მისგან ნამდვილად შეტყობილი ქურდების დაჭერის საქმეში? ზოგიერთს ჩვენს კორრესპონდენტებს ჰგონიათ, რომ კაცის კვლა და ცარცვა-გლეჯა მარტო ჩვენს მაზრაში ხდება. არ იციან, რომ ევროპის ზოგიერთ განათლებულის სახელმწიფოებშიაც კი ხდება ამისთანა საქმეები, სადაც პოლიციის მოხელეთ ყველაფერი ხელს უწყობს და ღონეც აქვსთ, რომ ასეთი ცუდი საქმეები არ მოხდეს. მაგრამ ამაების ლაპარაკი და წერა განა ღირს ჩვენს ზოგიერთ ცრუ კორრესპონდენტებთან? გაეგებათ მათ ყველა ის გარემოებანი, რომელნიც ხელს უწყობენ ჩვენში ავაზაკებს?

პოლიციის ბოქაული ბ. ქავთარაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მოკლე ბიბლიოგრაფიული შენიშვნა.

---

### სიმრთელის კიდობანი

**ოჯახში საყოთხ-სახმარებელი სამკურნალო წიგნი,**

შედგენილი და გამოცემული ი. ვას—ძის სულაქველიძის მიერ. ფასი 1 მანეთი.

ეს სამკურნალო წიგნი შესდგება 224 გვერდისაგან. დაბეჭდილია ფ ო თ შ ი. გამოცემულია სუფთად. ფორმატი წიგნისა საშუალოა. წარწერისაგან სჩანს, რომ ეს სამკურნალო წიგნი შედგენილია ბ. სულაქველიძისაგან, მაგრამ წიგნის შინაარსი ამტკიცებს, რომ იგი არის ნათარგმნი რუსულიდგან. დღეს-დღეობით ჩვენში იმდენი ქართველი ექიმები გვყავს, რომ მათ ადვილად შეეძლოთ ამისთანა სამკურნალო წიგნები გამოეცათ და გაევრცელებიათ ჩვენს ხალხში და ამით დაეკმაყოფილებიათ ხალხის სურვილი. მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთი ექიმები ამისთანა სამკურნალო წიგნების გავრცელების წინააღმდეგნიც არიან. და რისთვის? ეს ერთმა ღმერთმა უწყის. არც ერთ მათგანს დღემდის ერთი ფურცელიც არა დაუწერია-რა ხალხისათვის. ხალხში კი დიდი სურვილი არის ამისთანა სამკურნალო წიგნების კითხვისა. ხალხის ამ კანონიერი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ალბად შეუდგა ამ სამკურნალო წიგნის გამოცემას ბ. სულაქველიძე, მაგრამ მისი გამოცემა, სამწუხაროდ, ძლიერ უფერულია. სულაქველიძე სიტყვა-სიტყვით შესდგომია რუსულიდგან ქართულს ენაზე თარგმნას და ამისათვის მრავალი ადგილი გაუგებარია. ბევრს ადგილას ნახმარია საჩოთირო სიტყვები, რომელნიც ადვილად შესაძლო იყო გამოეთქვა უფრო საადვილოდ და ზრდილობიანად. მრავალს ადგილას სიტყვები შეცდომით არის ნათქვამი. მაგალითად მოვიყვანთ ზოგიერთ ადგილს წიგნიდგან.

1) **დიდი სისხლის ბრუნვის დანიშნულება ის არის, რომ სისხლისაგან განაშოროს უვარგისი ნივთიერება, დაიტოვოს ღვიძლმა, თირკლებმა, გამოსცეს გარეთ და ასაზრდოვოს ტანი.** (იხილე გვერდი 8).

1) ვერა გაგვიგია-რა! ვინ დაიტოვოს, რა დაიტოვოს? რა გამოსცეს? რით ასაზრდოვოს?

2) **გონიერება მკვდარი კაცის მძორში თუმცა არ არსებობს, მაგრამ უგუნური კაცის ცხოვრება და ლოდიალი შესაძლებელია. ეს მისგან წარმოსდგება, რომ თავის ტვინი არ აქვს დამწიფებული.** (იხ. გვერ. 15).

2) პირველს ორს წინადადებაში არავითარი ლოღიკური კავშირი არ არის, ქვევით აზრი აბნეულია და მრუდე.

3) **ნაღველი წარმოადგენს აბრეშუმის ჭიის პარკის მგვანე ბუშტსა, შიგ მოყვითალო ფერის სითხეა— (ნაღვლის წვენი). მისი წვენი მსხვილ ნაწლევებში ხსნის საჭმლის ფაფაში არეულს სასარგებლო ნაწილებსა, რომლებსაც შეიწოვებს ნაწლევის კედლები, დარჩება გაუხსნელად მხოლოდ ის ნაწილები, რომელნიც სხეულისათვის უოვლად უსარგებლონია და იწოდება ნ ე ხ კ ა დ; რაკი ნაწლევები და მუცლის კედლები მოძრაობენ ჩვენს ნებას გარეშე (?!), იგი გამოიყრება გარედ.** (იხილე გვერ. 18).

3) ვის გაუგონია და რომელ ფიზიოლოგიაში სწერია, რომ ნაღვლის წვენი საჭმელს შლიდეს მსხვილ წელებში?!.

4) **დახრწნა, დამჟავება მინალები საჭმლისა და მისი ზომიერად მონელება დამოკიდებულია ნაღვლის წვენზედ, ე. ი. ნაღვლის წვენი იცავს საჭმლის ფაფას მსწრაფლ დახრწნისაგან.** (იხ. გვერდი 19).

4) დარწმუნებული ვართ, რომ ამ სიტყვების პირველი ავტორი ასე არეულად არ დასწერდა, მაგრამ მთარგმნელს კი სრულიად ვერა გაუგია-რა.

5) **თესლების ბუდე (ЯИЧНИКЪ) მდებარეობს საჯიჯავეში, სადაც დათავდება მუცლის კიდე. თესლი გამოვარდება თუ არა ბუდიდგან, შექანდება მუცლის სივრცეში, იქვე დახვდება საშვილოსნოში შემყვანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მილი (фаллопіевы трубы), რომლის პირი გახსნილია, დაიჭერს თესლს და შეიტანს საშვილოსნოში. თესლები საშვილოსნოდგან გამოდის და იკარგება იმ სისხლის დენის დროს, რომელიც აუტყდება თვის რიგზედ მდედრობითი სქესს. (იხ. გვერდი 51).

5) ესეც მეტად ბრიყვულად და უზრდელად არის ნათარგმნი!

უკანასკნელ დროს კავკასიის საექიმო რჩევამ მოახდინა განკარგულება, რომ არავის მიეცეს ნება ნათარგმნი საექიმო წიგნების დაბეჭდვისა, ვიდრემდის თარგმნაც არ იქნება შემოწმებული მცოდნე პირთაგან. ბ. სულაქველიძეს ნებართვა გამოუთხოვია პეტერბურგიდგან. როგორც სჩანს, ეს წიგნი არ არის განხილული კააკასიის საექიმო რჩევისა და ცენზორისაგან, თორემ ამდენი შეცდომა არ იქნებოდა შეწყნარებული და ნებადართული. ძლიერ სასურველია, რომ ბ. სულაქველიძემ ეს წიგნი შეასწოროს და შესწორებული გამოსცეს ხალხში გასავრცელებლად.

ი. ს.

## წმ. ათონიდგან.

### რა ვნება მოაქვს საზოგადოებისათვის უგულისხმოდ წმიდა იერუსალიმში და წმ. ათონში მოლოცვას?

ამ მეცხრამეტე საუკუნეში მსგავსად მეცხრე და მეათე საუკუნეებისა ხელახლად იწყეს ქართველებმა მიმოსვლა პალესტინის წმ. ადგილებში. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, დღეს მრავალნი მოდიან აქ არა იმ განზრახვით, რა განზრახვითაც მოდიოდნენ უწინდელს დროში. დღეს მრავალი ჩვენი თანამოძმენი მოდიან წმ. ადგილებში, მაგრამ თვითონაც კარგად შეგნებული არა აქვსთ თავიანთი მოგზაურობის მიზანი. ამიტომ მათ მოგზაურობას წმ. ადგილებში სარგებლობის მაგიერ ვნება მოაქვს საზოგადოებისათვის. ზოგიერთნი მიდიან წმ. ადგილებში ხმის გაგონებით, თორემ სრულიად არ იციან, სად მიდიან, ანუ რაზედ? საჭიროა, რომ წმ. ადგილების თაყვანის საცემლად გამგზავრებულმა პირმა ჰკითხოს თავის თავს, თუ სად მიდის? რისთვის? რა უნდა ნახოს მან იქ? რა უნდა შეიძინოს და რა მოუტანოს სამშობლოს იმ წმიდა ადგილებიდგან? თუ ეს კითხვები და მათ შესახებ პასუხიც არ შეიგნო წმ. ადგილებში მოსალოცავად გამგზავრებულმა, მისი მგზავრობა იქნება უმნიშვნელო და სწორედ ამ კითხვების შეუგნებლობა არის მიზეზი, რომ მრავალს წმ. ადგილებიდგან დაბრუნების შემდეგ მთლად უქრება სარწმუნოება და ვარდება უარეს არა წმიდებაში და ცოდვაში. ზოგნი აუგებენ ამ წმიდა ადგილებს და ცდილობენ ასეთი აზრი ჩაუნერგონ გულში სხვებსაც. ზოგმა მლოცველებმა ამ წმიდა ადგილებში ფარისევლობით და სიცრუით მიიღეს მონაზვნობა, შემდეგ გადიან სოფლად, უარ ჰყოფენ ღვთის წინაშე მიცემულს აღთქმას, ცოლებს ირთვენ და სრულებით არ ფიქრობენ, თუ რა უსჯულოებაში ვარდებიან. ღვთის აღთქმის ასეთ დამარღვეველთ წმ. ეკლესია არ აძლევს ნებას, რათა ეკლესიაში შევიდნენ იგინი და სიკვდილის შემდეგ იგინი არ უნდა დაიმარხონ ეკლესიაში ქრისტიანულის წესით (იხილეთ დიდი რუსული კურთხევანში მუხლი 77, 78). ასეთნი პირნი მსგავსნი არიან იესო ქრისტეს გამცემლისა. ეკლესია ნებას არ აძლევს მღვდელობისას იმ პირს, რომლის ცოლი მეძავია და ან თუ კაცი გახრწნილია. მონაზონი ცოლიანი მღვდლად სრულიად უშვერია, ვინაიდგან მეძავია (იხილე იმავე კურთხევანში). იმდენად დიდი მოვალეობა არის მღვდელობა, რომ მისგან ივლტოდენ წმიდანებიც. დღეს კი, საუბედუროდ, ქრთამსაც ვიძლევით, რომ მღვდლობა ვიშოვნოთ. ამის მომქმედნი პირნი რას მოელიან? რისთვის უარჰყოფს მათ სახიერი ქრისტე, იესო ტკბილი? რათ მიატოვებს მათ მისი სუბუქი ტვირთი? ვისზედ გასცვალეს უფლის შემძლებელი! მე დარწმუნებული ვარ, რომ მათ შინაგან გონებას არა სძინავს, არამედ მარადის წრეტს და ამხელს მათს სიბრუნდეს. ძმანო, ვინ გაიძულათ ბერად შესვლა, განა თქვენი ნებით არ აღიკვეცეთ? მაკრატელი ქრისტეს ხელიდგან სამგზის არ მიიღეთ თქვენ და აიძულეთ წინამძღვარი აღკვეცად სამეუფო კარის წინ. რა აღუთქვით მაშინ ქრისტეს? მაშინ თქვენი სიტყვები იყო: «ქრისტესთან ნებითა ჩვენითა მოვედით». უკეთუსი იყო ან სრულებით არ შედგომოდით და თუ შეუდექით, უარის თქმა არ შეიძლება. ვგონებ, ძმანო, ხორციელი კაცის იმედით და

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბუთით იკადრეთ თქვენ ეს საქმე. ვინ არს ის პირი, იუდას მსგავსი, რომ აღკვეცილ ბერს აძლევს მოწმობას, ვითომ ის აღკვეცილი არ არის. მან ფულისათვის უნდა გაჰყიდოს ქრისტე, როდესაც ცოცხალია აღმკვეცელი და სხვანი მოწამენი. რისთვის მისცა იმ კაცმან ნება ცოდვის შერთვისა? საწყალს ბერს კანონება ამხელდა სიბრუნდეს, მაგრამ ოდეს იშოვა საბუთი, კადნიერად შეჰკადრა ქრისტეს უარისყოფა. საჭიროების დროს მე დავასახელებ იმ პირთ, რომელთაც წმ. ათონში ბერობა მიიღეს და დღეს ცოლები ჰყავთ შერთული. მოიგონეთ პავლე მოციქულის შემდეგი სიტყვა: «არა თუ კაცს, არამედ ანგელოსის დაჯერება საეჭველია, ვინაიდგან პირველად იმათში დაიბადა ცოდვა და ზესკნელიდგან ქვესკნელამდის შთაიხადნენ. ცრუს მთქმელს საშინლად სწყევლის სული წმიდა ღვთის პირით: «რომელი იტყოდეს სიცრუესა, არა წარემართოს წინაშე თვალთა ჩემთა». ხოლო სოლომონ იტყვის: «რამეთუ საძაგელ არიან წინაშე ჩემსა ბაგენი მტყუარნი». ეს ცრუ პირნი წამოვიდნენ აქედგან და მართებლობას გამოსტყუეს კურთხევა, მაგრამ ამ სამსახურსაც უარს ჰყოფენ, როცა მოეწყინებათ.

ამ წმიდა ადგილებიდგან ზოგიერთმა დაბრუნებულმა ბერებმა სრულიად სასოება წარუკვეთეს საზოგადოებას თავისი ცუდი მოქმედებით. ზოგმა მათგანმა შეაგროვა დიდ ძალი ფული საწირავად. ისევ ათონში დაბრუნების მაგიერ მათ იწყეს ქალაქებში ცხოვრება უწესოდ და ურცხვინოდ. ზოგს მათგანს არ ქონდა არავითარი საშუალება, მოიგონა ბერობა, წავიდა წმ. ადგილებში, შემდეგ გაიხადა ნათხოვარი ბერობა, ისევ სოფლად წავიდა, სიცრუით გამოსტყუა მღვდლობა ეპისკოპოსს. ბოლოს ეს ფიცით გასტეხა და ასე უსაფუძვლოდ ნაკურთხი კაცი თავისუფლად დასეირნობს. ამისთანა ცრუ მოქმედებით ისინი რას გებულობენ? გებულობენ დაუსრულებელს კიცხვა-ყვედრებას ყოველ კაციდგან და თავის სინდისისაგან. ხოლო ესენი თავს იმართლებენ და მუსრავენ მათი სინდისის მხილებას. ამისთანა პირებს ღირსია უთხრათ სიტყვა ფსალმუნისა: «და იყოს პირი, რომელი იტყოდეს სიცრუესა». ზოგნი მოდიან წმ. ადგილებში და ლოცვის მაგივრად, მიაქვთ ლანძღვა-გინება, რომელსაც ჰფენენ სოფელსა. ზოგს სურს, რათა მათი სურვილისაებრ პატივისცემა მიიღონ და ბოლოს დიდის ამბით გაისტუმრონ; დიდგულობენ და ბრძანებლობენ, თითქო ვინმე ბატონი მოვიდა თავის ყრმის ოჯახში. ზოგნი უარეს ცოდვებს იქნენ, ვინაიდგან მოდიან დიდების მოყვარებით და არა სიმდაბლით. იგინი ბერობის შინაგან მდგომარეობას კი არ უკვირდებიან, არამედ გარეგანი ხილვით კმაყოფილდებიან. მათ მიმოსვლას რიდაც სხვისაკენ აქვს მიმართულება. წმ. ადგილების მომლოცველს უნდა ეტყობოდეს რამე შეცვლა. ავათმყოფი რისთვის მივა მკურნალთან? რათა განიკურნოს. ეგრეთვე მართლმადიდებელი ქრისტიანე მისთვის მიდის წმ. იერუსალიმში, რათა სულით განიკურნოს ქრისტეს მადლით, რომელმან მიიღო ჩვენი ბუნება თვინიერ ცოდვისა, აღიზარდა, ივნო, ჯვარს ეცვა, დაეფლა, აღსდგა და ამაღლდა. ამ წმ. ადგილებს ვეანბორებით სარწმუნოებით და სასოებით მოსატევებლად ცოდვათა. ვინც ამისთანა ცხოველი სარწმუნოებით მიდის წმ. ადგილებში, ის, იმედია, მიიღებს ცოდვათა შენდობას. დიდად უკეთესია წაუსვლელობა, ვინემ წასვლა და უკანვე ურწმუნოებით მოქცევა და ქონებულის დაკარგვა. საკვირველია ზოგიერთების საქმე. მიდიან დიდის ხარჯით და არ იციან კი, სად მიდიან, ანუ რაზე! ასეთნი პირნი მეხედავენ იერუსალიმს, მთაწმიდას და ამით თავდება მათი მოგზაურობა. ნახეს ქალაქი და მთა და რადგან ჩვენშიდაც მრავალნი ქალაქნი და მთანი არიან, არაფრად შერაცხეს წმ. ადგილები. შემდეგ გარბიან დიდის უბედობით სოფლად, გაიძახიან: იერუსალიმში ვიყავითო და კადნიერებით თხოვნას ხელს მიჰყოფენ; ზოგნი მათგანი ითხოვენ ანაფორას და ქუდს და ამბობენ, იერუსალიმში მაკურთხესო და დგებიან ეკკლესიაში, ცხოვრებენ შორის დედათა, ადგილობრივ მღვდელს წინ უდგებიან, საწირავებს ღებულობენ, ვითომ აგზავნიან წმ. ადგილებში და თვითონ კი ხარჯავენ უწესოდ. ამისთანა პირებისაგან იბადება მრავალნი ბილწებანი. ფიქრობენ წმ. ადგილების ნახვით შეიძინეს სწავლა და ბერობა, მაგრამ სახელის გამოცვლით სწავლა არ შეიძინება, არამედ მრავალი ოფლით და შრომით უნდა ისწავლო. ბერობა შეხედვით არ ისწავლება, არამედ უნდა მრავალი შრომანი... ძმანო, ვინ არის მაიძულებელი, რომ უთუოდ წახვიდე წმ. ადგილებში. მოდიხართ თქვენის ნებით და მიდიხართ თქვენისვე ნებით და აგინებთ წმ. ადგილებს. ეს რა საკადრისია? თუ ვინმე ერთმა გაწყენიათ, სთქვით, ერთმან გაწყენიათ და რას უკარგავთ სხვას სასოებას. ეს დიდი ცოდვა არის. ძმანო, გონიერება და პატიოსნება არ მოიგება შურით და მტრობით, არც მოხუცებულობით და არც შპანუკობით. აი სოლომონ ბრძენი რას იტყვის: „რამეთუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიბერისა პატიოსნება, არა მრავალჟამი, არცა რიცხვი წელთა აღრაცხილ, რამეთუ მცხოვანება არს გონიერება კაცთა, და ჭასაკ-სიბერისა ცხოვრება უბიწო». ამ პატარა ღარიბმა სავანემ ათონის მთაწმინდისამან გამოზარდა მრავალნი პირნი, რომელთაგან ბოლოს სავანემ მიიღო კეთილის მაგიერ მრავალნი უწესო საქმენი.

ის პირნი, რომელნიც ჩვენ სახეში გვყავს, სახელის და გვარის დაუსახელებლადაც მიხვდებიან ჩვენს აზრს და, იმედია, პასუხს მოგვცემენ, თუ რად ჩადიან ისინი ასეთ საქმეებს და ამით რად უტეხენ სახელს წმ. ათონ-ზე მოღვაწე პირთ საზოგადოების თვალში?

მ. იოანნე.

## მოხუცი მამა.

(გურამიშვილის კილო).

მამა აზრობდა ბედკრული, შვილი გავზარდეო,
მამის ვალი შვილისადმი მით გადვიხადეო,
შვილს ვუთხარი: მე მოვხუცდი, ოჯახს მოხედეო,
მამის ვალი შვილს თუ მართებს, შენც გადიხადეო.
«კიდურში» ფულებს ნულარ ხარჯავ, აქ მოიტანეო,
ჩემი რძალი, შენი ცოლი აქ მოიყვანეო,
მომვლავ, შვილო, მოხუცებულს, რომ არ მოხვიდეო,
ჩემსა ნაკვდავს ამ შენს ოჯახს ხელი მოკიდეო,
გავალებული თუ არ მაქვს, კალიც არ მაქვს მეო,
ჩემი ნაღვაწი შენც ჭამე და მეც მაჭამეო,
შენი რაც გაქვს, შენვე გქონდეს, ის არ მინდა მეო.
დიდს შრომასა თუ ვერ შესძლებ, ცოტა იშრომეო;
მტერს თვალები დაუმსებ, ილხენს მოყვარეო,
შენც იხარე ჩემთან ყოფით, მეც გამახარეო.
ოჯახის მჯავრსა საფლავში ნუ ჩამატანაო,
— შვილი პასუხს არ იძლევა, ფიქრობს, რა ქნა მეო,
ჩემი ცოლი რომ გითხოვე, მაშინ წავაგეო,
ხან ვეხვეწე, ხან გავმჯავრდი, გახჩვე, გაწამეო,
მრავალ გზის სადილ-ვახშამი აღარ ვაჭამეო,
მაგრამ სოფელში ცხოვრებას ვერ დავითანხმეო,
პირიქით დამამონავა, მეც დავეთანხმეო.

რაჟდენ საჯაოხელი.

## ახალი ამბები და შენიშვნები.

სახელმწიფო რკინის გზების დროებით სამმართველოს, როგორც სწერენ «Iვერია»-ში, ერთ ინჟინერისაგან მიუღია ქუთაისიდგან მთელი პროექტი ჩვენის მხრიდგან კავკავამდე რკინის გზის გაყვანის შესახებ. ეს ინჟინერი აცხადებს თავისს პროექტში, რომ ქუთაისიდგან კავკავამდე თუ გაიყვანება რკინის გზა, უფრო იაფადაც დაჯდება და არც ნაკლებ საიმედო იქნება, ვიდრე ის გზა, რომელიც უნდა გაიყვანოს მთავრობამ ავჭალიდამ კავკავამდე ხევსურეთის მთებითაო. ზემო Iმერეთში ამ ინჟინერს ბევრი ძველის-ძველი გვირაბები უნახავს თურმე აქა-იქ გამოქვაბული დიდს მანძილზედ. ეს გვირაბები რომ გამოიწმინდოს და შეკეთდეს, ადვილად შეიძლება რკინის გზაც გაიყვანონ ამ გზითაო.

დროებით სამმართველოს ეს პროექტი წარმოუგზავნია ბ-ნს რიძევსკისათვის, რათა ადგილობრივ გამოიკვლიოს ამის სიმართლე და მერე ამის შესახებ თავისი აზრიც მოახსენოს სამმართველოს. ამის გამო, კავკასიონის ქედზე რკინის გზის გაყვანის საქმეს კიდევ ახალი ფერი დაედო და ვნახოთ, რა ბოლო მიეცემა ამ ახალს პროექტს.

***

სამრევლო სკოლების შენობები შორაპნის მაზრაში, სახელდობ საჩხერეში და რუფოთში დასრულებულ იქმნენ და პირველ სექტემბრისათვის ამ შენობებში სწავლა დაიწყება. საჩხერეში სკოლის შენობა აღშენდა სამღვდელოების საკუთარი ფულით, ხოლო რუფოთში სკოლის შენობის გაკეთება ითავა აზ. ბ. ნიკოლოზ სიმ. ჩიკვაიძემ თავის საკუთარის საშუალებით. როგორც ვიცით, ბ. ნიკოლოზ ჩიკვაიძეს სურს უზრუნველ ჰყოს ეს სკოლა ყველაფრით

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამუდამოდ თავის მოსახსენებლად. სწორედ პირველი მაგალითია ჩვენში ბ. ნიკოლოზ ჩ—ძის საქციელი.

*
* *

,,მწყემსი‘‘-ს რედაქცია უკვე შეუდგა სასულიერო კალენდარის გამოცემას მომავალი 1892 წლისათვის. კალენდარში უფრო მომეტებული ადგილი დაეთმობა საქიმო ცნობებს, რომელთა ცოდნა ფრიად საჭირო და სასარგებლოა. აგრეთვე კალენდარში იქნებიან ჩართული საინტერესო სურათები.

*„*

ზოგიერთი პირნი გვთხოვენ ჩვენ, რომ ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი ყველა განმარტებული საეჭვო კითხვები ერთ წიგნაკად გამოვსცეთ, რადგან ამ წიგნის მეოხებით უფრო იხელმძღვანელებს ჩვენი სამღვდელოებაო. ვაცნობებთ ამ პირთ, რომ ზოგიერთი საყურადღებო საეჭვო კითხვების განმარტება დაბეჭდილია ჩვენგან გამოცემულ სასულიერო კალენდარში. შემდეგში კი, როცა ამისთანა საეჭვო კითხვები ბლომად იქმნებიან განმარტებულნი, მაშინ ყველა ამ განმარტებულს კითხვებს ერთ წიგნად გამოვსცემთ.

*„*

4 აგვისტოს ქუთაისის საკრებულო ტაძარში ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა ქალაქის სამღვდელოებითურთ შეასრულა სამადლობელი პარაკლისი მათი იმპერატორებითი უმაღლესობის დიდის მთავრის მემკვიდრე ცესარევიჩის შორეულ ქვეყნებში მოგზაურობიდგან მშვიდობით დაბრუნებისა გამო. ამისთანავე სამადლობელი პარაკლისი გარდახდილ იქმნა ეპარქიის სხვა მრავალ ეკკლესიებშიაც.

*„*

გურიიდგან გვწერენ:

«თითქმის ერთ თთვეზე მეტია, რაც გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი, ყოვლად სამღვდელო **გრიგოლი** მოგზაურობს გურიაში ზოგიერთი აქაური ეკკლესიების დასახედავად. 21 ივლისს მათი მეუფება კრებულითურთ მწირველი ბრძანდებოდა სოფლის მამათის წმ. იაკობ-მოციქულის ეკკლესიაზე. ტაძარი მთლად სავსე იყო მლოცველებით. წირვის შემდეგ ყოვლად სამღვდელომ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც მსმენელთ ცხადათ განუმარტა სწავლის დიდი მნიშვნელობა ადამიანისათვის ცხოვრების ასპარეზზე და უსწავლელობის შედეგი. მშობლებს ურჩია მათი შვილების აღზრდა და ბავშვებს დაურიგა პატარა ჯვრები. სადილათ მათი მეუფება მიპატიჟებული ბრძანდებოდა მღვდლის დავით ნიკოლოზის ძის ქილაძისას, რომლის ეზოსაც ურიცხვი პატარა ბავშვები მიაწყდა, ვინაიდგან გაიგეს, რომ ყოვლად სამღვდელო ბავშვებს ჯვრებს ურიგებდა. თუმცა მათი მეუფება დაღლილი იყო, მაგრამ სათითაოდ მოუწოდა ბავშვებს და ყველას თავის ხელით დაჰკიდა ყელზე აბრეშუმის ლენტით ჯვრები.

რევიზიის დროს ყოვლად სამღვდელომ **ნაბედრენიკით** დააჯილდოვა სოფლის სირაულის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდელი ნიკოლოზ იესეს ძე ქილაძე და მამათის წმ. იაკობ-მოციქულის ეკკლესიის მღვდელი დავით ნიკოლოზის ძე ქილაძე».

***

ამას წინეთ ვაცნობეთ ჩვენს მკითხველებს, რომ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში მომავალი ენკენისთვიდამ ხელ-ახლად გაიხსნება დასაწყისი მოსამზადებელი კლასები. ეხლა შევიტყვეთ, რომ ამ განყოფილებათა მასწავლებლებად ყოვლად სამღვდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოს, იმერეთის ეპისკოპოსს გაბრიელს დაუმტკიცებია, თანახმად სასწავლებლის სამმართველოს დადგენილობისა, ბ. ბ. ილარიონ და სპირიდონ ან. მატარაძეები. ბ. ილარიონ მატარაძე დიდხანს იყო მასწავლებლად ამ განყოფილებათა ნორმალურს კლასში, მაგრამ შემდეგ ამ განყოფილებათა დახურვისა, იგი უადგილოდ დარჩა. იმედია, რომ ბ. ი. მატარაძე დღესაც ისეთივე მუყიათობით მოეკიდება თავის მოვალეობას, როგორც წინათ ეკიდებოდა და რისთვისაც არა ერთგზის დაუჯილდოებია იგი სამღვდელოების კრებას ნივთიერად და სიტყვიერი მადლობით.

***

როგორც შევიტყეთ, მისს მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას, საქართველოს ეგზარხოსს, მთავარ-ეპისკოპოსს პალლადის ერთი მშვენიერი საქმე განუზრახავს. მათი მეუფება სთხოვს უწმ. სინოდს, რომ საქართველოს ეკკლესიის წმინდანები შეერთებულ იქმნენ რუსეთის ეკკლესიის წმიდანებთან სინოდის გამოცემაში, რომელშიაც ყველა წმიდანები დახატულნი არიან და საჭიროების დროს მხატვრები ამ გამოცემით ხელმძღვანელობენ...

***

გაზეთ «ივერია»-ში ვკითხულობთ: «მოკლე ხანში შემოღებული იქნება რკინის გზებზე სამკურნალო სამსახურის დებულება. ამ დებულების ძალით რკინის გზებისათვის სავალდებულო იქმნება, რომ ყოველს სახალხო მატარებელში ფერშალი იყოს. გზებზედ იმდენი ფერშალი უნდა იყოს, რამდენიც კონდუქტორების დასია სახალხო მატარებლებისა და ერთიც საგანგებო მატარებლისა და იმ შემთხვევისათვის, როცა მორიგი ფერშალი ავად გახდება. ყოველს მატარებელში უთუოდ უნდა იყოს ცალკე განყოფილება (კუპე), რომ, ვინიცობაა, უეცრად ავად გახდეს მგზავრი, იქ დააწვინონ; მატარებელშივე უნდა ჰქონდესთ უსაჭიროესი საექიმო მასალა და წამლები, რომ პირველი შემწეობა აღმოუჩინონ ხოლმე ავად-მყოფებს.

***

რაჭიდამ გვწერენ: ივლისის თთვის 26 ლიკორწმინდის საბლაღოჩინო ოლქის სამღვდელოებას კრება ჰქონდა სოფელს ლიკორწმინდას. ადგილობითმა ბლაღოჩინმა მ. ნ. ძანდელაკმა, სხვათა შორის, შეკრებილ სამღვდელოებას გამოუცხადა, რომ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელთან დაარსდა ძმობა დავით აღმაშენებლის სახელობაზედ და შემდეგ განუმარტა კრებას მიზანი ამა ძმობისა და ურჩია მღვდლებს, რომ მათ შემწეობა აღმოუჩინონ ამ მშვენიერს და სასარგებლო დაწესებულებას. შეკრებილ სამღვდელოებაში მარტო ორი პირი ჩაეწერა ძმობის წევრად თვით მ. ბლაღოჩინი და მღვდელი მ. მესხი, ხოლო სხვაებმა ერთ დროებით შესწირეს ძმობის სასარგებლოდ თითო მანათი.

***

ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მთავრობა აცხადებს, რომ ყველა კლასებში შესასვლელი და განმეორებითი გამოცდა ამ გიმნაზიის მოსწავლეებისა დანიშნულია ამა თთვის 21, 22, 23 და 24 რიცხვებსა.

***

გაზ. «ივერია»-ს შეუტყვია, რომ ბლაღ. დეკ. ნიკოლოზ ძ ა ლ ი ს ტ ო ვ ი უწმ. სინოდის განკარგულებით გადაყვანილ იქმნა კიევის გუბერნიის ქ. უმანში უბრალო მღვდლად.

***

სოფლის ხოტევის ეკკლესიის მღვდელი გრიგოლ პაციტაძე გულითად მადლობას სწირავს აზ. ვარლამ ღუარსაზის ძეს გოცირიძეს, რომელსაც ზემოდ აღნიშნული ეკკლესიისათვის შეუწირავს 1 რწყვილი ბაირახი და ერთი რწყვილი გვირგვინი.

***

მღვდლის ბართლომე ჩხარტიშვილისაგან ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი:

«მ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, ნება მიბოძოთ თქვენი ჟურნალის „მწყემსი"-ს საშუალებით გულითადი მადლობა გამოუცხადო კნეინა სოფიო ნიკოლოზის ასულს ნაკაშიძისას, ქსტატე ნიკოს ძე ჩხარტიშვილს, ივანე პეტრეს ძეს ჭავჭანიძეს და ვლადიმერ მემარიაშვილს, რომელთაც შემოსწირეს რწმუნებულს ჩემდამო ეკკლესიას, პირველმა ღვთისმშობლის ვეცხლის მოოქრილი 1 ხატი, ღირებული 15 მ.; მეორემ—1 რწყვილი დიდი სასანთლეები და 2 წიგნი, 1 მარხვანი და 1 ზადიკი, ყველა ეს ღირებული 41 მ.; მესამემ—ფულად 30 მ., ხოლო მეოთხემ 1 მშვენიერი ხავერდით და თვისის შესაფერი ხატებით შემკული სახარება, ღირებული 25 მანეთად.

***

სოფლის ტყაჩირის ეკკლესიის მღ. მ. ბესარიონ ქახაიასაგან ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი გაზეთში დასაბეჭდად:

„მ. რედაქტორო! გთხოვთ, ნება გვიბოძოთ, რომ თქვენი გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა გამოუცხადოთ ახალ ბაიაზეთის წმ. ნიკოლოზის ეკკლესიის მღვდელს მ. დავით იანქოვს, რომელმაც შემოსწირა ჩემდამო რწმუნებულს ეკკლესიას ერთი ხელი დაფარნები ფარჩისა ზედ წარწერით: მოსახსენებლად ნეტარ-ხსენებულის მისი დედის ბარბარეს საოხად და ორი ჯვარი ერთი დიდი და მეორე პატარა".

***

ნოვოროსიიდგან ჩვენ მივიღეთ ფრიად სამწუხარო ამბავი. გვწერენ, რომ თავის ტვინის ანთებით ავად გამხდარა დეკანოზი იოანნე ნაუმოვიჩი, რომელიც ამას წინად კავკასიაში მოვიდა ჩვენი მხრის დასათვალიერებლად. მ. იოანნე ივლისის თთვის 30 გაემგზავრა ბათუმისკენ. ოთხს აგვისტოს ნოვოროსიაში ავად გამხდარა, ხუთს გარდაცვლილა და ექვს დაუსაფლავებიათ. ესევე სამწუხარო ამბავი მოიტანა ქუთაისში ნოვოროსიის უნივერსიტეტის ერთმა სტუდენტმა, რომელიც ამ დღეებში ჩამოვიდა რუსეთიდამ ქუთაისში და სთქვა, რომ მ. იოანნე ნაუმოვიჩი უეცრად გადაიცვალა ნოვოროსიაშიო.

***

ორშაბათს, 5 მარიამობისთვეს, ჯავის ხეობაში დაუჭრიათ მღვდელი გრიგოლ სანაყაშვილი. მღვდელი მოდენილა ცხენით და თან ორი-სამი კაცი ჰყოლია. ლიახვის ნაპირზე ტყეში დამალული ყოფილა რამდენიმე კაცი. ერთბაშად ერთსა და იმავე დროს ორი თოფი გავარდნილა, მაგრამ ჯერ ჯერობით მღვდელს არაფერი არ უგრძვნია, მხოლოდ მიმხვდარა, რომ აქ ან ჩემი მტრები უნდა იყვნენ, ან ავაზაკნიო, და უკან დაბრუნებულა. მხოლოდ რამდენისამე ხნის შემდეგ მღვდელს შეუმჩნევია, რომ ხელში ტყვია მოჰხვედროდა და ჭრილობიდამ სისხლი სდიოდა. შეუტყობინებიათ გამომძიებლისათვის და მღვდელი ცხინვალის ქსენონში წაუყვანიათ. ამ საქმის შესახებ გამოძიება სწარმოებს. («ივერია»).

ალბად ამ ხელში დამბლა ჰქონია დაცემული ამ მღვდელს.

***

ამ თთვის 11 ბათუმში, ზღვაში ბანაობის დროს, დაიხრჩო მღვდლის მ. ბესარიონ ბიორგაძის შვილი მოწაფე ქუთაისის გიმნაზიის მეექვსე კლასისა. ეს პირველი შემთხვევა არ არის, რომ ბათუმში ზღვაში ბანაობის დროს ბევრი უბედურება ხდება და კაცი ყურადღებას არ აქცევს, რომ ზღვის ნაპირას საბანაო ადგილები ხეირიანად მოაწყონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საისტორიო მასალა.

# მუჯრები

## ბიჭვინტისა.

(გაგრძელება *).

ვინცა ზურგით მზიდავი ხარი და ან სეფე ხარი 1) წაიყვანოს თვრამეტი ათასი თეთრი საყდარსა დაეურვოს. ვინცა მოხელეთა გაგზავნილი კაცი გაცარცვოს ოთხი ათასი თეთრი საყდარსა დაეურვოს და ორი ათასი იმას დაეურვოს. ვინცა ქვერა ეპისკოპოზსა სცეს ანუ შეიპყრას, ანუ ავად აგინოს, ანუ უპატიობა რამე ჰკადროს თორმეტი გლეხი საყდარსა დაეურვოს და სამასი ათასი იმას დაეურვოს. თუ გლეხი იყოს რომელმან ჰკადრა მისითა მამულითა საყდარსა დაეურვოს. ვინცა კათოლიკოზსა ყმა, მსახური მოკლას ექვსი ათასი თეთრი საყდარსა დაეურვოს და სამასი ათასი სისხლად და თხუთმეტი ათასი სანახშირედ იმათ დაეურვოს. და რანიცა საყდრისა მოხელენი არიან, ვითარცა საყდრის შვილთა სწერია იმავე წესით იმათ დაეურვოს. ვინცა საყდრის მოინალე 2) კაცი მოკლას შვიდასი ათასი თეთრი საყდარსა დაეურვოს, ოთხასი ათასი სისხლად და თხუთმეტი ასი სანატშირედ იმათ დაეურვოს. 3)

და ვინც ბიჭვინტის გარემო სოფელი და გლეხი სიდგან ზარისა ხმა ისმოდეს, გატეხოს ანუ დაარბიოს, ანუ ნახირი გაუტეხოს ექვსასი ათასი ძველი კირმანაული თეთრი საყდარსა დაეურვოს და სამი ათასი იმას დაეურვოს. სახლნი რანიცა აგარანი და სოფელნი მეტოქი მონასტერი და ქალაქი სწერია იმათ შინა მსახლობითნი გლეხნი, მსახურნი და მოინალე ვინცა მოკლას, ექვსასი ათასი თეთრი საყდარსა დაეურვოს და სამასი ათასი თეთრი სისხლად და თხუთმეტი ათასი სანახშირედ იმას დაეურვოს.

ვინც სოფელი და სოფლის კაცი დაარბიოს, ორასი ათასი თეთრი საყდარსა დაეურვოს და ორი ათასი ორი ათასი რასდენიცა გლეხნი იყვნენ იმათ დაეურნონ და ალაფი უკლებლად შეაწიონ და რასაც მიზეზისთვის მიხდომოდენ, ისი გაუცუდდეს. და თუ მომხდომი მოკლან სისხლი და სანახშირე გაუცუდდეს· და ვინც ჯოგი და ნახირი გაუტეხის ოცდა ათი ათასი თეთრი საყდარსა დაეურვოს და ორი ათასი იმათ დაეურვოს. ვინცა ეკკლესია გაუტეხოს ოთხი სახლი დაეურვოს. ვინცა ცული წაუღოს ბიჭვინტის საყდრის ყმასა თუ ხუცესი იყოს ორი სახლი დაეურვოს და თუ ერის კაცი იყოს ერთი სისხლი სრული დაეურვოს. ვინცა ქალი დაუგდოს, სრული სისხლი დაეურვოს.

ვინცა ვენახი დაუკაფოს საყდარსა და საყდრის ყმასა ოცდა ათი ათასი თეთრი საყდარსა დაეურვოს და ათასი ვისიცა ვენახი იყოს იმას და რისათვის უყო ისი გაუცუდდეს. აგრევე ვინცა წისქვილი გაუტეხოს. ვინცა ბიჭვინტის საყდრის ყმის მეჯინიბე, ანუ მესადილე, ანუ მწყემსი სცეს ანუ გაცარცვოს ათი ათასი თეთრი საყდარსა დაეურვოს, ათასი ვისცა იყოს იმას. და თუ ვინცა მეკობრობით 1) რამე მოიპაროს ოცი ათასი თეთრი საყდარსა დაეურვოს. ვინცა კათოლიკოზის უკითხავად ბიჭვინტის წყალი ინადიროს მოსადებლითა ოცი ათასი თეთრი საყდარსა დაეურვოს. ვინცა საყდრის ყმა დაკოდოს უდლოს ადგილსა სამი გები დაეურვოს, თუ დალი დაასვას მეთორმეტე სისხლისა დაეურვოს.

აწ დავამტკიცეთ მეოხებითა ბიჭვინტის ღვთისმშობლისათა საკრძალავი და შესაძრწუნებელი ყოვლისა ადამის ტომისაგან იადგარი დავდევით. ვითარცა სახლთა საყდართა უწარჩინებულესი არის ბიჭვინტის საყდარი ეგრეთვე უმეტესი იადგარი დავდევით და დავამტკიცეთ მტკიცე ბრძანება ესე არა ვისთვის გვიბრძანებია ყველა დაქცევისა და შეუცვლელობისა ყოვლის ადამის ტომის კაცისაგან თვინიერ თანადგომისა და ზეობისაგან კიდე არა სახელითა შემდგომთა ჩვენთა მეფეთა და დედოფალთა. და თქვენ წმინდანო მეფენო, მღვდელ მთავართ მთავარნო აფხაზეთისა და ქართლისა კათოლიკოზნო თქვენც ასრე დაუმტკიცეთ. დადიანო—გურიელო, ათაბეგ—

---

*) იხ. «მწყემსი» № 13, 1891 წ.

1) ს. ს. ორბელიანმა არ იცის ეს სიტყვა.

2) აქედან იწყება ის ადგილი, რომელსაც აქვს დიდი მნიშვნელობა ჩვენი საეკკლესიო კანონების შესწავლისთვის.

3) საყურადღებოა ეს ადგილი სამართლის წარმოების შესასწავლად.

1) „ბა“-ს დავარჩინე წაუკითხავად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამირ სპასალარნო თქვენცა ასრე დაუმტკიცეთ და მწე ეყვენით ბრძანებასა ამასა ჩვენსა.

რომელმანც გვარმან კაცმან, ანუ მეფემან, ანუ დადიან-გურიელმან, ანუ კათოლიკოზმან, ანუ ეპისკოპოსმან, ანუ თავადთა და დიდებულთა, ანუ აზნაურის შვილთა შლათა ხელყოს შლად და შეცვლებად და გმოხუმად [1]) ჩვენ მეფეთა და დადიან გურიელსა შეწირულისა მამულსა ბიჭვინტის ღვთის მშობლისა, მასამცა რისხავს თავად ღმერთი და საშინელი ყოვლად წმ. ღვთის მშობელი და ძე მისი იესო ქრისტე და ცხოველს მყოფელი პატიოსანი ჯვარი, წმინდანი ზეცისა ძალნი ხორციელნი და უხორცონი და რანიცა წმინდანი სვინაქსარსა შინა აღწერილ არიან და აღიწერებიან. რაცა ამა ჩვენგან დამტკიცებულსა იადგარსა შინა სწერიან ანუ დაიწერებიან ამის დაბლად დაქცევად ხელყოს შეჩვენებულმც არის თორმეტთ მოციქულთა მადლითა შვიდთ კრებათ მადლითა და ოთხთ პატრიარქთ მადლითა. ნურამც ეშლების მის სულსა და ხორცსა ნუცა ლოცვითა, ნუცა მარხვითა, ნუცა გლახაკთ მიცემითა და მთა წმიდის მიცემითა. დამამტკიცებელნი ამისნი აკურთხნეს ღმერთმან.

კანონითა ვამტკიცებ კათოლიკოზი მალაქია.
კანონითა ვამტკიცებ კათოლიკოზი ევდემონ.
კანონითა ვამტკიცებ კათოლიკოზი ეფთჳმი.
კანონითა ვამტკიცებ კათალიკოზი მალაქია.
კანონითა ვამტკიცებ კათოლიკოზი მაქსიმე.
კანონითა ვამტკიცებ კათოლიკოზი ზაქარია.
კანონითა ვამტკიცებ კათოლიკოზი სვიმეონ.
კანონითა ვამტკიცებ კათოლიკოზი დავით.

სახელითა ღვთისათა ჩვენს ბატონს დავით; გვიბოძა დადიანმან ლიონ და დედოფალმან ბატონმან თინათინ (6) ეს წყალპუტია, ჯიქია გვიბოძა მისისა ცოლშვილითა, რისის მქონებელიც არის მისის ყოველისფრითა და ჩვენ ბიჭვინტისა ღვთის მშობლისთვისა შეგვიწირავს სახსრად და საოხად სულთა ჩვენთა და დედათა ჩვენთა წარსამართებლად. ვინც ეს გამოსწიროს რისხავს ღმერთი.

(სხვა ხელით იწყება).

ნებითა ღვთისათა არის ევდემონ კათალიკოზის შეწირული ერთი ოქროს ხატი ბიჭვინტისა ღვთისმშობელი გელათს ასუვენია. ერთი ოქროს ჯვარი მოთვალ-მარგალიტით. [1]) ერთი ბარძიმი ოქროსი მოთვალ-მარგალიტითი. ერთი ოთხთავი ოქროთი მოჭედილი მოთვალმარგალიტითი. ერთი ოქროთი მოჭედილი ყივარჯენი. ერთი ოქროს ომფორი მომარგალიტული. ერთი ძველი ომფორი. ერთი ნახლის ბისონი. ერთი სხვა ბისონი ოქრო-ქსოვილი, ერთი საბეჯური სირმით შეკერული ოქროს ჯვარი აბია. ერთი ოლარი და ერთი ენქერი სირმით შეკერული. ერთი სამკლავე სირმით შეკერული, მომარგალიტებული. ერთი სტიხარი ხუთი მეტაფრასი—წიგნი.

ნებითა ღვთისათა შევსწირე მე აფხაზეთის კათოლიკოზმან ეფთჳმი საყვარელიძემან ბიჭვინტისა ღვთის-მშობელსა: გვირგვინი ოქროს მოთვალ-მარგალიტებული, ომფორი მძიმედ მოთვალ-მარგალიტებული, ბისონი სტავრისა ოქროს ღილებითა. ენქერი სირმისა მძიმედ მოთვალ-მარგალიტებული, ოქროთ ქსოვილი სტიხარი. საბეჯური მომარგალიტებული. ოქროს ხატი მძიმედ მოთვალ-მარგალიტებული. სამსჯულდლი და ძელი არის შიდა და პატიოსანი ნაწილები. მეორე ქამარი არის მარგალიტისა. მეორე ბისონი არის შავის ატლასისა ოქროს ქსოვილი ვეცხლის თვლებიანი. კიდევე მესამე ბისონი არის ოქროქსოვილი თეთრი მარგალიტის თვლებიანი, მეოთხე ბისონი არის ორპირი ოქროს ღილებიანი. მეხუთე ბისონი არის მრავალჯვარი ხავერდისა ოქროსი ღილებიანი მოთვალ-მარგალიტებული, მეექვსე ბისონი ხავერდისა მრავალჯვარი ვეცხლისა ღილებითა. სტიხარი ოქროქსოვილი. სამკლავე მრავალ ჯვარი მომარგალიტებული. ბარძიმი ბროლისა ოქროთ მოჭედილი, ერთი ფეშხუმი ოქროსი და ერთი ვეცხლისა. ერთი კამარა ოქროსად მოთვალვით, ლახვარი, კოვზი, ოდიკი დახატული, ღრუბელი, ერთი საზედაშე, სამი ნახლის პერექელი, ერთი ოქროს კონდაკი ოქროს მელნით დახატული ოქროს ღერითა. ერთი სხვა კონდაკი დახატული, ერთი სხვა ეტრატისა კონდაკი. ერთი ჟამნი, ერთი დავითნი, ერთი კურთხევანი, ერთი სანთლის ჯვარი მოჭედილი და ლამაზი მოჭრით. ერთი პატიოსანი გულანი წიგნი ლამაზად დახატული სულ ყოვლისფრითა უნაკლულო, ერთი სჯულის კანონი [2]), ერთი ქართლის

[1]) გმობად.

[1]) ე. ი. თვალ.

[2]) სამწუხაროდ არ არის მოხსენებული, რომელი «სჯულის კანონია».

ეროვნული

ცხოვრება, ერთი ოქროს დოსტაქანი... ერთი ჯეჯირი, ცხენის ჯოგი, ზროხის ჯოგი და კამბეშის 1) ჯოგი.

---

აქედამ მეორე გვერდი იწყება. იგივე წვრილი ხუცური ასოებია, მხოლოდ სხვა ხელით ნაწერი.

შენ წმიდათა უვრცელესო და უზეშთაეს შვიდ ცათა ურცელესო ბიჭვინტისა ღვთის მშობელო ჩვენ ცვაფარვითა შენთა მო...ობილმან და მხასოებელმან სახისა შენისამან ჩვენ დადიანმან ბატონმან ლეონ და ტკბილის მამის სანაცვლომან ბატონმან ბიძამ ჩემმან ბატონმა გიორგი ლიპარიტნმან გკადრეთ და შემოგწირეთ შენ საშინელსა ანგელოზისა უხილავსა ბიჭვინტის ღვთის მშობელსა ჩვენდა სადღეგრძელებლად და განსამარჯვებლად, სახსრად და საოხად სულისა ჩვენისად შემოგწირეთ ჭალაკავა ჯალნისეული მამულითა შვილის ხუტუსეული მამული, ორი მონასტერი—ერთი ჯვარის პატიოსნისა და მეორე წმიდის გიორგისა, მისის სასახლითა, მამულითა, საფლავითა, სათევზითა, საყანითა, სანადიროთა, სახოხბითა, სათივითა, ბელლითა და მარნითა, ჭურითა შესავლილითა და გამოსავალითა, როგორაცა ხუტუ ჯაიანსა ეხმაროს, ისრე თქვენ იხმარეთ. აწე არის ამის შემავალი გლეხი ხუხუ ჯაიანი, რომ იხმარებოდა, ერთი კუამლი კაცი გრიგოლ გოგოლდაჲ, მეორე მოსახლე ლომინია გოგოლდა, მესამე მოსახლე მიხლია ჩანგელია, მეოთხე მოსახლე ქვაქვალია შანტაჲ, მეხუთე მოსახლე მიკ ალანდიშვილია, მეექვსე მოსახლე პაგიჭოლდი ქეიკაჲ, მეშვიდე მოსახლე ობიმხვა შვილია, მერვე მოსახლე დაჯიხული ჯანია, მეცხრე მოსახლე უშას ბიბილია ხუტუს ჯაიანის სეული. აწე ამისი არიან თავათ ღმერთი და ბიჭვინტისა ღვთის მშობელი კაცთაგან ლიპარიტიანი, ბატონი გიორგი და გაზირთ-უხუცესი და მოლარეთ უხუცესი მირაბ ქორთაძე და ქაცია ქორთაძე და მესტუმრეთ უხუცესი ქაკაუჩა ქვითია. სახლის უხუცესი ქაიხოსრო აფაქიძე, ბოქაულთ უხუცესი ჯავახ ჭალაძე. აწე ამისი შემწირველი ესენი არიან.

აწე შეწირული ჩვენგან მამული და საყდარი ვინცა გამოსწიროს რისხავს მამაჲ ძე და სული წმიდაჲ. ყოვლად წმ. ღვთის მშობელი, ყოველნი წმიდანი ღვთისანი, ზეცისანი და ქვეყანისანი, უხორცონი და ხორციელნი ნურათამცა ეშველების მის სულსა ნურცა წირვითა, ნურცა ლოცვითა და ნურცა გლახაკთა მიცემითა ნურცა იხლემს წასვლითა და შეწირულითა. დამამტკიცებელნი ამისნი აკურთხნეს ღმერთმან. ამინ. ამინ. მეღვინეთ უხუცესი გამიგონი გუკუჩაა და მზარეული ხუტალევი გვირგვინა.

---

ჩვენ ქრისტეს ღვთის მიერ კურთხეულმან აფხაზეთის კათოლიკოზმან ეფთვიმი საყვარელის ძემან ჭალა მონასტერი და რაც მამული შესწირა დადიანმან ლეონ და ლიპარტიანმან გიორგი ბიჭვინტისა ღვთის მშობელსა ჩვენ მისდა ქრთამად გამოვიღეთ, მივეცით მანუჩარ დადიანსა თორმეტს ტყუედ დაფასებული, კარავი, ერთი ბედაური ცხენი და ერთი ბედაური ჯორი. მანუჩარ დადიანი მიიცვალა, მას უკან მის შვილს ლევან დადიან მივეც ერთი გაუკვეთელი სარასანი და ერთი ყირმიზი იაზადური ხავედი. ლიპარტიანს გიორგის მივეც ერთი ოქროს მოჭედილი უნაგირი მურასა ვეცხლის ლაგამითა, ვერცხლის სადევითა, ვერცხლის სამკედლითა, ვერცხლის მათრახითა ოქრო-ქსოვილისა. ერთი სიასმურის ხავემის ტყავი თეთრს ხავემს ეაკრავს. მივეც მირაბ ქორთაძესა ერთი ბედაური ცხენი მისის უნაგირითა და ასლითა და ბირაქითა შეკაზმული. კალის უხუცესსა ქაიხოსრო აფაქიძეს მიეცი ერთი დიდი თავანგამი ერთის კაცის ასალები.

ქაკაუჩას ქვითას მივეც ერთი კარგი მესხური საუნაგირე მისის იარაღითა, ერთი ზემოური ქაფხაჲ და ერთი ჩალიღაოს ქვემო სხვა საბანი და სურმები მოხელეებსა. აწ რამდენიც კაცმან ან დადიანმან, ან სხვამან კაცმან, ან თავადმან, ან აზნაურის შვილმან ბიჭვინტისა ღვთისა-მშობელსა გამოსწიროს ჭალა მონასტერი და რაც მაშინა მამული შესწირეს—რისხავმცა ღმერთი მამაჲ ძე და სული წმიდაჲ, ყოვლად წმიდაჲ ღვთის მშობელი, ყოველნი წმიდანი ღვთისანი ზეცისანი და ქვეყანისანი, ხორციელნი და უხორცონი. დამამტკიცებელნი ამისნი აკურთხნეს ღმერთმან. ამინ. ამინ.

---

1) ასე იწერება კამბეჩი.

მქრალი მელნით, უფრო წვრილი ხელით დაწერილია შემდეგი:

Ⴀგრეთვე გკადრეთ და შემოგწირეთ თქვენ საშინელსა ბიჭვინტისა Ⴖვთის მშობელსა ჩვენ ხელმწიფე-დადიანმან პატრონმან Ⴊ ე ვ ა ნ Ⴇეკლათს საყდარი მთავარ Ⴀნგელოზისა საწინამძღვროდ რუვად კუამლის კაცითა, ტყითა, ველითა, საყანითა, სანადიროთა, გასავლითა და გამოსავლითა, საძებრითა და უძებრითა, დღეს რისაც მქონებელი იყონ სამართლიანის საქმითა ამას გარეთ საკანდელაკოს კლიტითა. შემოგწირეს სახსრად და საოხად სულისა ჩვენისა, ასრე რომე სახელი იყო ბატონი კათოლიკოზე მაქსიმე (?) 1)...

Ⴀწე ვინცა შლად ჰყოს წყეულ, კრულ და შეჩვენებულ არს მისი სული და ხორცი აქა და მას...

---

Ⴀქედან იწყება ისევ შავი მელნით, გარკვეული ხელით, რომელიც წინად გვხვდებოდა:

ნებითა, შეწევნითა, წყალობითა Ⴖვთისათა ჩვენ გურელ კათოლიკოზმან მალაქია შევსწირეთ ბიჭვინტისა Ⴖვთის მშობელსა მცირე ესე შესაწირავი თავის ერთის წმიდის Ⴀნდრია მოციქულის ხატი მომიჭედინებია და თორმეტ საუფლოს კუბოში ჩამისვენებია და ბიჭვინტას დამისვენებია და სამი კუამლი კაცი იქ მისთვის შემიწირავს. Ⴀმას გარეთ ერთი მძიმედ მომარგალიტებული ოქროს ომფორი ათასის ფლურისა სრულიად პატიოსნის თვლითა და მარგალიტითა შემკობილი და მისის ოქროს ბუშტებითა.

Ⴄრთი ამისი შეფერებული მძიმე ოქროს სირმის ყარყაფათ შეკერული ბისონი ცხრის მურანის ლილითა და ამ ლილებშიან ნიშაურის ფეროზისა და ყირმიზის იაგუნდის მეტი არა ზის-რა. Ⴄს ლილები თვითო ას-ას მარგალიტად ნასყიდი არის. Ⴄრთი წყვილი სამკლავები ოქროსი ოთხასის ფლურისა მძიმედ მოთვალ-მარგალიტებული. Ⴄრთი პატიოსანი ოლარი ხოშორის მარგალიტითა მძიმედ მომარგალიტებული. Ⴄრთი მძიმე ოქროს მურისა ქამარი პატიოსანის ყირმიზისა იაგუნდებითა, ლალებითა, ნაყაურის ფირუზითა და მარგალიტებითი შემკობილი, შვიდი ქულუჩა და ორი წინა შესაკრავი აქვს. Ⴄრთი მძიმე ჩარყაფის მომარგალიტებული ენქერი. Ⴄრთი მძიმე ქარყაფით შეკერილი სტიხარი ორის ოქროს ლილითა. Ⴄრთი სირმით შეკერული საბეჭური. Ⴄრთი ოქროთა თვალითა დამარგალიტებული შემკობილი პატიოსნის ძვლითა დანაწილებული და ოქროს ჯაჭვითა შესაკიდი ხატი.

Ⴄრთი სამწირველო ოქროს სარმუზა მურასა პატიოსნის თვლითა და მარგალიტებითა შემკობილი. Ⴄრთი მძიმე ჩარყაფისა მომარგალიტებული პორფირი. Ⴄრთი მაზარა შავის ატლასის მომარგალიტებული სირმისა ზღინარებითა და ოქროს მურის ლილებითა. Ⴄრთი მძიმე ოქროს მურასა კავარჯენი ოქრო კახელის ბატონის Ⴄფთვიმე კათოლიკოზისაგან იყო და ზოგ ზოგი თვალი და მარგალიტიცა მისგანვე იყო და მერმე ჩვენ ახლად კიდევ პატიოსნის თვალითა და მარგალიტითა შემიმკია და გამიკეთებია 1). Ⴄრთი სირმისა მომარგალიტებული გვირგვინის ქუდი. Ⴄრთი ოქროს ფეშხუმი ორას სამოცის ფლურისა. Ⴄრთი მძიმედ გაკეთებული მოთვალული კოვზი. სამი მძიმედ ხალასათ ყირმიზის ფრანგულის ქამხაზე შეკერული პერექლები. Ⴄრთი მძიმეთ მოჭედილი და ოქროთ დაფერილი კონდაკი. სამივ კონდაკი შიგან წერია მისის ხალასათ შეკერულის რუფაქითა, მეორე სხვა კონდაკი ოქროს ვარაყითა წერილი.

Ⴄრთი პატიოსანი ძილის პირი ჭრელის ნუსხითა. Ⴄრთი ჟამნი, დავითნი. Ⴄრთი კურთხევანი. Ⴄრთი გულანი ქახელის Ⴄფთქვიმე კათოლიკოზისაგან იყო დაწერილი და ხატის შეწირული არ იყო და ბატონის Ⴃადიანს წაელო და მე ვსთხოვე და მიბოძა და აწ მე შემიწირავს. Ⴄრთი ეტრატს ოთხთავი დახატული აქვს, მერაბ ქორთაძისაგან ხალიჩა. Ⴄრთი ვეცხლის ჯვარი..... Ⴄრთი მურასა ტაშტი. Ⴄრთი მომარგალიტებული სამხეური. Ⴄრთი მომარგალიტებული ჩარყაფი 2)...... Ⴍქროქსოვილი ხალიჩა მომარგალიტებული...

Ⴄრთი დიდი ოქროს ბარძიმი (?). Ⴄრთი დიდი დაქანაბადა. ერთი ალაქუხი. ერთი ყირმიზის სუფრა ერთი ტაშტი წურწუმა ვეცხლისა და ტაშტი

---

1) ეს ადგილი მეტად მქრალად არის დაწერილი. ალაგ-ალაგ აღარა სჩანს-რა.

1) უკანონო შეთანხმებაა სიტყვებისა: „ჩვენ შეგვიმკია" და არა შემიმკია.

2) აქ მელანი გადასულია. ორი სტრიქონის დასაწყისი აღარ სჩანს.

ჩარხისა. ერთი საყათასი, ერთი დიდი დოსტაქანი. ორი ჩარა დასები. ერთი ცხრა... ნალბაქები.

აწ ადგილებისა და მამულებისაგან ბაუჯელს სასახლე აოხრებული იყო და მომცრო ადგილი იყო და გარეშემო სხვისი ადგილი იყო და ჩვენის თეთრითა მიყიდა და გამომატება და სასახლე ამიშენებია და ქვითკირისა და ქვითკირისა ჯიხური ამიშენებია და დარბაზი დამიდგამს და ორი მოსახლე კაცი ჩვენის თეთრითა მიყიდია და დამისახლებია და ჯოგი დამიყენებია. ამას გარეთ ი[illegible]ილის სასახლე გამიკეთებია საყდრისათვის სამრეკ[illegible]ო ამიშენებია და ქვითკირის მარანი ამიშენებია, ზედა კარგი სახლი დამიდგამს და ტახტი ამიშენებია, ერთი კუამლი კაცი ჯიქაია გვარადა მანდ მიმიყვანია, მებოსტნეთ დამისახლებია და ჯოგი დამიყენებია. მეორე კუამლი კაცი სურებული გვარადა მანდ დამიყენებია და დამისახლებია.

ამას გარეთ ოდიშს სადაც მე მოვინდომე ლალიძგას, ანაკრიას, ფოთს, ჭალადიდს ყოველგზის ბალკოლისკარს, ეკალს საქურჩულაროს, ჩვენი ამორჩეული მეთევზენი და სხვა კაცები ოცდაათი მოსახლეები დადიანმან პატრონმან ლეონ მისდა სადღეგრძელოდ, მისის სულისათვის შესწირა და ყოველ წელიწადსა სულისათვის ტრაპეზი გაიჩინა. ამას გარეთ ლალიძგას სასახლე არეულ და ბატონის დადიანის ძველი გაოხრებული სასახლე იყო და ჩვენცა შევეხვეწეთ და ვსთხოვეთ და თვითონ ხატსა შესწირა და ჩვენცა დაგვამადლა, მივყევით ხელი, დარწყეთ შენება საყდარი გაგვეკეთებია. დარბაზი და ჯიხური ჩვენის თეთრით მიყიდია და დამიდგამს და გარდამიჭედინებია. აგრეთვე ბელლები, მარანი და რაც სახლები არის ან საყანე, ან საკრეფი მამული და ჭურები—ყველა ჩვენის თეთრით მიყიდია. ერთი მოსახლე ბატონმან დედოფალმან მიბოძა და სამი მოსახლე ჩვენი... მიმიყვანია და დამისახლებია.

ღორის ჯოგი დამიყენებია და სამუშაო საქმე ყველა გამიჩენია და გამირიგებია. ქვაბები დამიდგამს და მეთევზენი დამიყენებია. ამას გარეთ ილორის ჩხოხოძისაგან ერთი პარტახი მიყიდია და ადგილი წინამძღვრისაგანცა მიყიდია და ერთი კუამლი კაცი მიმიყვანია იქ მეთევზეთ და დამისახლებია. ამას გარეთ სუშეიბს სასახლე გამიკეთებია, საყდარი დამიდგამს დიდი დარბაზი და ჯიხური დამიდგამს და გარდამიჭედინებია, საყანები მიყიდია და ორი კუამლი კაცი ჩვენის თეთრით მიყიდია და დამისახლებია. ხარის და ზროხისა და ცხენისა ჯოგი დამიყენებია.

ამის გარეთ [1]) ხოირს სოფელი იყო და სასახლე არ იყო, მერმე ჩვენის თეთრითა სასახლე ადგილი ვიყიდე მეგრელებისაგან და დარბაზი ვიყიდე და დავადგმევინე, ჯიხური დავადგმევინე და გარდავაჭედინე და რაიც სახლები დგას ყველა ჩვენის თეთრითა მიყიდია და სხვა საყანეები საკრეფი მამულები და ჭურები მიყიდია და შემიმატებია. მოსასახლეები დამისახლებია და ზროხები დამიყენებია. ამას გარეთ ხიბულას საყდრის იარალისათვის ციხე სალაროთ გამიკეთებია, შიგან ორი კუამლი კაცი დამისახლებია, საყდარი, სახლი და ჩარდახი დამიდგამს და ერთ სასახლეთ ის გამიკეთებია. ამას გარეთ ბიჭვინტას გამოლმა სასახლისათვის გამიმატებია დიდა დარბაზი და დიდი ჯიხური დამიდგამს და გარდამიჭედინებია, ტახტი ამიშენებია და გარდამიჭედინებია, სახლ-კარი გამიკეთებია, მოსახლენი დამისახლებია. ქამბეშისა, ზროხისა [2]), თხისა და ღორის ჯოგი დამიყენებია, სალობი გამიკეთებია, ხარდანი გამიკეთებია და ერთი მოსახლე კაცი ზედ დამისახლესია, ხარდანი [3]) გამიკეთებია და მეხარდნე იმერეთიდამან მომიყვანია და დამისახლებია.

ამას გარეთ საქურჩილორიოს ბატონმან დადიანმან ერთი სასახლე ოთხის კუამლის კაცითა მიბოძა მისის საყანითა და საკრეფის მამულითა და მისის ყოველისფრითა და მე შემიწირავს. ამას გარეთ ნაგვაზაურის სასახლისათვის ბატონს ლიპარიტიანსა შევეხვეწე და ცარიელი სახლკარი, სასახლე-ადგილი ძომაქროთამა ორის მოსახლითა და ერთი მოსახლე მე მიუმატე. მივჰყავ ხელი და საყდარი ავაშენე და გარდავაჭედინე. დიდი ჯიხური ავაშენე და გარდავაჭედინე, სხვა სახლები, ბელელი და მარანი და ჭიშკარი ავაშენებინე და სასახლე გავაკეთებინე.

---

1) გარეთ=გარდა.

2) კამბეში — კამბეჩი (შ = ჩ); ზროხსა—ძროხს (ზ=ძ).

3) ხარდანი—ხარიანი ვენახი (საბა სულხან ორბელიანის ახსნა).

ბიბლიოთეკა

# საეჭვო კითხვების განმარტება.

გურია-სამეგრელოის ეპარქიის ერთი ეკკლესიის მღვდლის მამა სამსონ ჩა—იასაგან ჩვენ მივიღეთ შემდეგი კითხვები განსამარტებლად:

1) როგორ უნდა მოიქცეს მღვდელი, ან რა უყოს დაწერილს ობისკს, როცა სასიძო და სარძლო სრულს თანახმობას განაცხადებენ ერთმანერთთან შეუღლებაზე და ობისკის წიგნიც შესდგება კანონიერად და ხელს მოაწერენ როგორც ისინი, ისე თავმდებნი და წევრნი ეკკლესიის კრებულისა, თუ ამის შემდეგ სასიძომ ანუ სარძლომ უარი განაცხადა ჯვარის წერაზე?

2). რამდენი დრო უნდა გაუშვან გარდაცვალებიდგან, რომ პანაშვიდი გარდაეხადოს ან მედავითნემ როდის უნდა დაიწყოს დავითნის კითხვა?

3). თუ ეკკლესია დაშორებულია, ან ცუდი ტაროსია, მაშინ ვალდებულია თუ არა მღვდელი გაუძღვეს წინ მიცვალებულს შემოსილი?

4). შემდეგ მიცვალებულის გვამის დასაფლავებისა საჭიროა თუ არა მიცვალებულის სახლში დაბრუნება და სახლის განათლება, ან აიაზმის წყლის მოსხურება?

5). მიცვალებულს როცა შეგასვენებთ წმ. ეკკლესიაში, იქვე უნდა ავუგოთ მცირე პანაშვიდი, თუ სასაფლაოზედ?

6). მცირე ტაბლის საკურთხად საზოგადოდ და შემდეგ ალაპისა მღვდელი ვალდებულია თუ არა სოფელში მთხოვნელის ოჯახში წავიდეს?

და 7) ექვსი და შვიდი დღის გარდაცვალებულის გაჩერება შეიძლება ეკკლესიაში?

---

### რედაქციის პასუხი.

1). თუ ობისკის შედგენის შემდეგ სასიძომ ან სარძლომ გვირგვინის კურთხევა არ ისურვა და ქორწინება დაიშალა, მაშინ მღვდელმა შედგენილი ობისკის ბოლოს შენიშვნა უნდა დასწეროს, თუ რა მიზეზისაგამო მოიშალა ქორწინება და ობისკის ფურცელი გაუქმებული შეიქმნება. მეტრიკა გვირგვინის კურთხევის შემდეგ სდგება მაშინვე და არასოდეს არ გაუქმდება.

2). ნამდვილ გარდაცვალებიდგანვე დაიწყება პანაშვიდის გარდახდა და დავითნის კითხვა მიცვალებულის სულის მოსახსენებლად.

3). თუ გარდაცვალებულს ერთი ადგილიდამ დაშორებულ ადგილზე მიასვენებენ, რასაკვირველია, მღვდელს არ შეუძლია გაუძღვეს წინ. რკინის გზით გარდაცვალებული საკუთარი ვაგონით მიაქვსთ და აქ როგორ გაუძღვება მღვდელი? ამ შემთხვევაში მღვდელი ცოტა ადგილზე გაჰყვება და შემდეგ დახვდება იქ, სადაც ასაფლავებენ მიცვალებულს, ან სადაც შეასვენებენ ეკკლესიაში. სამრევლოს ფარგალში კი რიგია გაუძღვეს და ისეთი ცუდი ამინდი თუ არის, რომ კაცი ვერ გაბედავს გარეთ გამოსვლას, მაშინ ვერც გარდაცვალებულს გაასვენებენ.

4). მიცვალებულის გასვენების შემდეგ სახლის მოკურთხებას საეკკლესიო ტიბიკონი არ უჩენს და რასაც ტიბიკონი არ უჩენს, იმისი ასრულება არც საჭიროა და არც რიგია. ყოველ მღვდელს შეუძლია უარი უთხრას ქრისტიანეთ აიაზმის გარდახდაზედ ხსენებულს დროს, და უიმისოდ, როცა ნებავს, სრული უფლება აქვსთ გარდაიხადონ ყოველგვარი ლოცვა და ვედრება ღვთისა.

5). თუ ეკკლესიაში აეგო გარდაცვალებულს წესი და პანაშვიდი, რასაკვირველია, მცირე პანაშვიდი სასაფლაოზედ უნდა გარდაეხადოს. მცირე პანაშვიდი ყოველს ადგილას და ყოველთვის შეიძლება გარდაუხადონ, თუ ამისი მსურველნი არიან. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენში ნამეტანი ყურადღება აქვსთ მიქცეული ამოტირილზე და სხვა თვალთ-მაქცობით მოქმედებაზედ და ხალხის გამასპინძლებაზედ. როდესაც წესის აგებაზედ და პანაშვიდის გარდახდაზე მიდგება საქმე, მაშინ მღვდლებს ეტყვიან: «აბა, მამანო, შედით შიგ და თქვენი წესი აასრულეთ, ჩვენ ღვინოს გიახლებით და მერე გავასვენოთ». ეს არის გარდაცვალებულის პატივისცემა? ჩვენდა სასირცხოდ და სამწუხაროდ ამისთანა საძაგელი და ოჯახის დამღუპველი ჩვეულებანი სრულდებიან ამ ჩვენს დროშიაც!... თავის მუცელზედ უმეტესად ფიქრობენ. უბრალო და უსარგებლო ხარჯი ღუპავს ოჯახს და გარდაცვალებულის სასარგებლოდ არ იხარჯება არც მეოთხედი. ასე ღრმად აქვს კიდევ გადგმული ფესვი კერპთ-თაყვანის-ცემლურ ჩვეულებათა ჩვენს საქართველოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6). მცირე ტაბლა და ხორცეულობა საკურთხად თვითონ მღვდლის ოჯახში უნდა მიიტანონ და არა მღვდელმა უნდა იაროს სოფელში მათ საკურთხად, როგორც ამას ტიბიკონიც უჩენს.

7). სამოქალაქო და საეკკლესიო კანონებისამებრ გარდაცვალებული სამი დღის შემდეგ არ შეიძლება დარჩეს დაუმარხავი და ყოველს მღვდელს უფლება აქვს ორ-ორი და სამ-სამი დღებით ეკკლესიაში არ შეასვენებინოს მიცვალებული. ეკკლესიაში გარდაცვალებულის გაჩერება შეიძლება იმ დრომდის, სანამდინაც წესის შესრულება გაგრძელდება, შემდეგ უთუოდ უნდა იქმნეს გატანილი გარეთ. არავის არა აქვს უფლება, მღვდელისაგან მოითხოვოს ეკკლესიაში გარდაცვალებულის დასვენება იმა მიზეზით, რომ დღეს კვიმატიანი დღეა, ან ორშაბათი და ვერ დავმარხავთო, როგორც ეს შემთხვევია მამა ჩა—იას და რომელსაც ვტყობილობთ მისი კერძო წერილიდგან.

---

ამავე დროს იმერეთის ეპარქიის ერთი პატივცემული მღვდელისაგან ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი:

«მ. რედაქტორო! ამას წინეთ ერთმა მღვდელმა აღძრა კითხვა, თუ რამდენ წირვად ჩაითვლება ოთხი-ხუთი მღვდლისაგან შესრულებული წირვა». რედაქციამ ეს კითხვა რიგიანად განმარტა და გამოაცხადა: ერთ გარდაცვალებულზე რამდენმა მღვდელმაც უნდა შეასრულოს წირვა ერთსა და იმავე დროს, ერთ წირვად ჩაითვლება და არა მწირველ მღვდლების რიცხვისამებრ. ამ კითხვის განმარტებამ ჩვენში გამოიწვია მეორე კითხვა, რომლის განმარტებასაც გთხოვთ».

«სამი მღვდელი რომ მსახურებდნენ ერთ ეკკლესიაზედ, შეუძლიათ თუ არა სამთავემ თავიანთ სამრევლოს ცოცხლებს ან გარდაცვალებულებს ერთად შეუსრულონ წირვა და როგორ უნდა მოიხსენონ გარდაცვალებულნი «შეგვიწყალენ»-ზედ?».

---

ვაცნობებთ ამ პატივცემულ მღვდელს, რომ ერთად მწირველთ სამივეს და რამდენიც უნდა იყვნენ მღვდლები, მათ შეუძლიათ უწირონ თავიანთ სამრევლოს გარდაცვალებულთა და ცოცხალთა. გარდაცვალებულნი ერთად უნდა იყვნენ მოხსენებულნი შეგვიწყალენზედ როგორც მთავრისაგან, ისე უპირატესისაგან და აგრეთვე სათითეულოდ ყველა მწირველ მღვდელთაგან. წირვა შეიძლება შესრულდეს ერთზედ და მრავალზედაც. საორმოცო წირვა შეიძლება მღვდელმა აღასრულოს არა მარტო ერთ გარდაცვალებულზედ, არამედ ათზედ და მეტზედ ერთსა და იმავე დროს ორმოცი დღის განმავლობაში. ამისათვის იწერებიან მონასტრებიდამ მცირე ფასს საორმოცოისას, რადგან ერთ წირვაზე იხსენებენ არა ერთსა და ორსა, არამედ ასს, ორას და ოთხასსაც.

რუსეთის ერთ მონასტერში წირვის დროს ერთმა პატივცემულმა დეკანოზმა თხუთმეტჯერ განიმეორა მცირე შეგვიწყალენი თავის ასამაღლებელითურთ და თხუთმეტი სხვა-და-სხვა გარდაცვალებულნი მოიხსენა ცალ-ცალკე. ჩვენში შეიძლება ამისთანა საქციელისათვის მღვდელს საჩივრებიც შეუტანონ და მათი გარდაყენება ითხოვონ!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

# განცხადებანი.

—

უმაღლესად დამტკიცებული „რუსეთის საზოგადოება» თანხის და შემოსავლის დაზღვევისა, დაარსებული 1835 წელს.

## საზოგადოება უზღავს

1., თანხას შვილებისათვის, ანუ სხვა მემკვიდრეებისათვის, ვინიცობაა დამზღვევი გარდაიცვალა.

2., თანხას, რომელიც შეუძლიან თვითონ დამზღვეველმა მიიღოს, როცა მოხუცდება.

3., თანხას, რომელიც მიეცემა დამზღვეველს აღნიშნულ ხნის შემდეგ, როცა თვითონ დასჭირდება შვილების დასაბინავებლად, ანუ ქალებისათვის სამზითვოდ.

4., პენსიას სიკვდილამდის, სამკვიდროს და სხვა... უმთავრესი აგენტი და ინსპექტორი კავკასიაში ნ. გრუზენბერგი. ფოსტის და დეპეშის ადრესი: Грузенбергу Тифлисъ.

(10—9)

---

მიიღება ხელის-მოწერა 1891 წლისათვის ორ კვირეულ გამოცემათა ქართულს

## „მწყემსზედ“

## და

## რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზედ

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს სამღვდელო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და სახოროციელო მართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა; 2) გაავრცელოს ქართველ სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა საეკკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრების კითხვათა შესახებ; 3) გაავრცელოს საქართველოს სამღვდელო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილ ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდელო და საეკკლესიაო მოსამსახურე პირთა ზოგიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის აღსრულებისათვის.

მიზანი და დანიშნულება რუსული გამოცემისა, ზემოხსენებულის პროგრამმის აღსრულების გარდა, არის — 1) შეატყობინოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას შინაარსი შესანიშნავ და საინტერესო «მწყემს»-ში დაბეჭდილ სტატიებისა; 2) გააცნოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას საქართველო, ეს დაშორებული კუთხე რუსეთის იმპერიისა და საქართველოს სასულიერო და საერო წოდება ქართული გამოცემის საშუალებით გააცნოს რუსეთის სასულიერო მწერლობას და ხალხის ცხოვრებას.

### ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით | «მწყემსი» 5 მ. | 6 თვით | «მწყემსი» 3 მ. |
| — ,, | ორივე გამოცემა 6 » | — ,, | ორივე გამოცემა 4 » |
| — ,, | რუსული ,, 3 მ. | — ,, | რუსული ,, 2 მ. |

რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში ხანანაშვილების სახლებში და ყვირილაში რედაქტორის საკუთარს სახლებში.

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც ყვირილაში, აგრეთვე ქუთაისშიაც.

გარეშე მცხოვრებთა გაზეთის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: Въ Квирилы, въ редакцію газетъ „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

ეროვნული ბიბლიოთეკა


# ისყიდება

დეკანოზი დავით ღამბაშიძისაგან შედგენილი და გამოცემული წიგნები:

თბილისში, ცენტრალურ და ბ. ხიდიკელის წიგნების მაღაზიებში, ქუთაისში—«მწყემსი»-ს რედაქციის სტამბაში და ძმ. ჭილაძეების და წერეთლის წიგნების მაღაზიებში და ყვირილაში—თვით გამომცემელთან.

1) დარიგება საღმრთო სჯულის სწავლებაზედ, რომელიც უწმიდესი სინოდისაგან მოწონებულია როგორც სასწავლო საღმრთო სჯულისა საეკკლესიო-სამრევლო და სხვა პირველ დასაწყის სკოლებში—ფასი . . . . 30 კ.
2) იგივე დარიგება საღმრთო სჯულის სწავლაზედ რუსულს და ქართულს ენაზე 50 კ.
3) საქართველოს საეკკლესიო ისტორია ფასი ყდით . . . . . 45 კ.
4) ქართული ლოცვანი, თვეთა მეტყველებით, ქორონიკონით და მართლმადიდებელი ეკკლ. უმთავრესი დღესასწაულების მოთხრობით.—ფასი . 30—
5) ახალი კარაბადინი, რომელიც განხილული და ნება-დართულია კავკასიის საექიმო რჩევისაგან.—ფასი . . 1 მან.
6) მღვდელთათვის საიდუმლოების შესრულების დროს საჭირო სახელმძღვანელო წიგნი—ფასი ყდით . . . 30 კ.
7) ახალი სასულიერო კონსისტორიათა წესდებულება.—ფასი ყდით . 40 კ.
8) მცხეთის ტაძარი და წმიდა ნინო, ქართველთ განმანათლებელი,—ფასი . 25—
9) გელათის მონასტერი და ცხოვრების აღწერილობა მეფის დავით აღმაშენებელისა.—ფასი . . . . 25—
10) წმ. მოწამენი დავით და კონსტანტინე და მოწამეთის მონასტერი.—ფასი . 5—
11) წმიდანი მღვდელ-მთავარნი: ვასილი დიდი, გრიგორი ღვთის-მეტყველი და იოანნე ოქროპირი, სურათებით—ფასი 5—
12) მირქმა უფლისა, სურათით.—ფასი . 2—
13) დიდ-მარხვის წინ, სურათით.—ფასი . 2—
14) ხარება ყოვლად წმიდა ღვთის-მშობლისა სურათით.—ფასი . . 2—
15) გზობა სურათით—ფასი . . . 2—
16) აღდგომა სურათით—ფასი . . 2—
17) პონტოელი პილატეს მეუღლის წერილი თავის მეგობარ ქალთან . . . 5—
18) მეფე სოლომონ ბრძენი სურათით—ფ. 5—
19) ცხოვრების აღწერა წმ. მოც. სწორის დიდის მთავრის ვლადიმირისა . 2—
20) წმიდა-ნინა ქართველთ-განმანათლებელი . 2—
21) შიო-მღვიმის მონასტერი და ცხოვრების აღწერა ღირსისა მამისა ჩვენისა შიოსი სურათით—ფასი . . . . —5
22) მიძინება ყოვლად წმიდა ღვთის-მშობლისა, სურათით—ფასი . . 2—კ.
23) ამაღლება პატიოსნისა და ცხოველმყოფელისა ჯვარისა უფლისა სურათით 2—
24) ღვთის-მშობლის დაბადება—სურათით 2—
25) ტაძრად მიყვანება ღვთის-მშობლისა 2—
26) ესთერი სურათით.—ფასი . . 5—
27) წმ. მოწამე რაჟდენი—სურათით ფასი 5—
28) ისო ძისა ზირაქისა სურათით . . 5—
29) დაწყებითი გაკვეთილები საღმრთო სჯულის სწავლებაზე ფასი . . 15—

.........

ვინც ზემო აღნიშნულ წიგნებს გამოიწერს არა ნაკლებ ერთი თუმნისა, მას მანეთზე დაეთმობა 15 კ.

ვინც 2 კ. წიგნაკებს დაიბარებს არა ნაკლებ ასი ცალისა, ის ფოსტით გასაგზავნს არ იხდის.


---

,,მწყემსის" რედაქცია უკვე შეუდგა მოსახსენებელი კონდაკის ბეჭდვას. ამისთანა კონდაკები ძველს დროშიდ თითქმის ყველა ეკკლესიებში და მონასტრებში ჰქონებიათ, მაგრამ დღეს არცერთ ეკკლესიაში არ მოიპოვება.

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. Доз. цензурою. Кутаисъ, 19 Августа 1891 г.
Типографія редакціи (П. Д. Гамбашидзе) Въ Кутаисѣ, помѣщ. въ домѣ (р. Хахановыхъ на Нѣмецкой ул.